№ 2679
ოთხშაბათი,
24 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2679
ოთხშაბათი,
24 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მოკლე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

97

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი“ მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
ერთის წლით 6 მანეთი.	ერთის წლით 9 მანეთი.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისთანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე“ მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან.	1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1 მ. 20 კ.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“
უფასოდ გაეგზავნება
მხოლოდ ქალაქ გარეთ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)
როგორც „ცნობის ფურცლის,“ ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

„დონ-კიხოტი“
[illegible] სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1905 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.
პრემიის გასაგზავნად ქალაქის გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.
გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
„მასალები საქართველოს ისტორიისათვის“
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.
რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სახლში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

ფრიდონ გიორგის ძე ბასილაშვილი, ეკატერინე გიორგის ასული ბაქრაძისა და გიორგი ლუკას ძე ბაქრაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას (21 ნოემბერს) პირველნი—ძვირფასის დედის, უკანასკნელი—სიდედრის

ელისაბედ დავითის ასულის ბასილაშვილისას.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ბარონის ქუჩა, № 26 საკ. სახლი. გამოსვენება ხუთშაბათს, 25 ნოემბერს ქვაშვეთის ეკლესიაში და დაკრძალვა იმავე დღეს კუკიის სასაფლაოზე. (3—386—2)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. აბონემენტის გარეშე
ოთხშაბათს, 24 ნოემბერს ბენეფისი მ. ა. აბაშიძისა წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პიესა

I	II
მეუღლენი	ბენეფისის წინ
კომ. 5 მოქ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა. სომხურიდან ნათარგმნი ი. ბაქრაძის-მიერ.	სცენები 1 მოქმ. პ. უმიკაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ლეჟავა, მესხი, ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გუნია, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ჩარკვიანი და სხვ.
ადგილების ფასი ოპერისაა. დასაწყისი 8 საათზე.
ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში, ლაკასიონში. სეზონის ბილეთები და კონტრამარკები გაუქმებულია. ადმინისტრაცია ამხანაგობისა.
მორიგი რეჟისორი მ. აბაშიძე.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ს. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ხალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ტ. [illegible].—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. კიმონტი.—ქირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გიდიმანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მძ. ქალი ე. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
მ. ა. გილიძე.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. მ. მოსინიძე.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუხაძელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველდღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მრ. მ. ხოზოლიმსკი.—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
მ. მ. ხოზოლიმსკი.—ქირურგია და ორთოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დასიძოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოთ აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში ავადმყოფები მორიგებით. კრავატები დღეში დარჩ. ს 2 მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 2. ... ქუჩიდან-კი 34 B.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყარაფანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი
ი. ი. ზამბურაშვილი
გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—15)

ექიმი
ბ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვებს-ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—26.

შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო ამით აცხადებს, რომ, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით, ამა 1904 წლის 29 ნოემბრისთვის დანიშნულია შავი ქვის მრეწველთა **საგანგებო კრება** ქუთაისში კავკასიის სამთო გამგეობის უფროსის თანაშემწის ბ-ნ მ. ი. ჩინგერის თავმჯდომარეობით.

განსახილველი საგნები:

1. არჩევანი კრების მდივნისა.
2. არჩევანი წარმომადგენლისა სამთომადნო საბჭოში და საკითხი იმ ხარჯის შესახებ, რომელიც ამ საბჭოს საქმეების წარმოებას უნდა. (1—6.—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
22 ნოემბერი

ტოკიო, 21 ნოემბერი („რეიტერი“). იაპონიის ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ 18 ნოემბერს იაპონელთა ჯარის მარცხენა ფრთაზე პორტ-არტურთან დროებით, დილის 10-დან ნაშუადღევის 4 საათამდე, ბრძოლა შესწყდა მოკლულთა და დაჭრილთა გვამების წასაღებადაო.—არა ოფიციალურად შემდეგ დაწვრილებით ცნობებს გადმოგვცემენ 203 მეტრის კორაკის აღების შესახებ. ბრძოლა დაიწყო 14 ნოემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე, როდესაც იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს წითელ კორაკის პარაპეტებს. წითელი კორაკი 203 მეტრიან გორაკის სამხრეთითაა სამას მეტრის მანძილზე ერთის საათის განმავლობაში, სამიდან ოთხ საათამდე, იაპონელებმა ოთხი იერიში მიიტანეს და ბოლოს გაიმარჯვეს, მაგრამ ახლა რუსებმა თავგანწირვით მოიტანეს სამჯერ ზედიზედ იერიში და იაპონელთა ჯარი უკან დასწიეს. 15 ნოემბერს დილით იაპონელებმა იერიში მიიტანეს 203 მეტრიან გორაზე და დიდის ზარალის შემდეგ დაიჭირეს ჩრდილოეთ ფერდობის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი. იაპონელთა მეორე დივიზია დამკვიდრდა სამხრეთ-დასავლეთ ფერდობის გალავნის წინ. 16 ნოემბერს, გათენებისას, რუსებმა საოცრად მიიტანეს კონტრ-იერიში და უკუ-აგდეს იაპონელები სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხიდან, მაგრამ სამაგიეროდ იაპონელები გამაგრდნენ სამხრეთ-დასავლეთის ფერდობის ტრანშეებში. იაპონელებს ამ ადგილიდან წვერამდე უკლდათ მხოლოდ 30 მეტრი. 17 ნოემბერს გათენებისას მათ ახალი ჯარი მიეშველათ. ნაშუადღევს იაპონელთა არტილერიამ მიზანში ამოიღო სამხრეთ-დასავლეთი კუთხე და სიტყვასიტყვით დააყარა ყუმბარები. იაპონიის გემები ესმარებოდნენ ჯარს და ყუმბარებს ისროდნენ მტრედის ბუხტიდან. ბოლოს იაპონელებმა, რომელთაც კიდევ მიეშველათ ჯარი, ხმა-მაღალის ყვირილით რამდენჯერმე შეუტიეს რუსებს და საღამოს 7½ საათზე გაჰფანტეს. რუსებმა ნელ-ნელა დაიხიეს. ამავე დროს დაათავა ბრძოლა იაპონიის იმ ჯარმა, რომელმაც იერიში მიიტანა სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეზე. საღამოს 8 საათზე, მთელი პოზიცია იაპონელებმა დაიჭირეს, მერე აიღეს აგრეთვე წითელი გორაკი. რუსებმა მიიტანეს ექვსი კონტრ-იერიში; უკანასკნელმა 18 ნოემბერს დილის 4 საათიდან ნაშუადღევამდე გასტანა. რამდენჯერმე საქმე შეტაკებამდე მივიდა. ზარალის შემდეგ რუსებმა ანციშანსა და იტცეშანისკენ დაიხიეს.

პეტერბურგი. საზღვაო მთავარ შტაბის ოფიციალური მოხსენება: „მოვიდა დამატებითი ცნობები გენერალ-ადიუტანტის როჟესტვენსკისა 8 ოქტომბერს მომხდარ ინციდენტის შესახებ ჩრდილოეთის ზღვაში: როცა ჯავშნიან გემ „სუვოროვ“-ზე სროლა შესწყდა, ჯავშნიან გემების რაზმის მარცხენა ტრავერსზე კრეისერებმა—„დმიტრი დონსკოი“-მ და „ავრორა“-მ პროჟექტორები გაანათეს. „დმიტრი დონსკოიმ“ ანიშნა და „კნიაზ სუვოროვ“-ზე ამართეს ნიშანი, რომ გემებს სროლა შეეწყვიტათ, რაც მაშინვე აასრულეს; ეს ბრძანება გამოიწვია იმის შიშმა, რომ უკან მდგომ გემებიდან ნასროლი ყუმბარა არ მოხვედროდა თავისიანებსვე. სროლა არ გაგრძელებულა სულ 10 წამი. უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით გამოირკვა, რომ კრეისერ „ავრორა“-ს მოხვედრია ხუთი იმ ყუმბარებიდან, რომელნიც ან გემებზე გადადიოდნენ ან რიკოშეტით მოდიოდნენ. სამი ყუმბარა 75 მილიმეტრიანია და ორიც 47 მილიმეტრიანი; ყუმბარებმა დასჭრეს მძიმედ მღვდელი და მსუბუქად ერთი კომენდორი. მღვდელი შემდეგ გარდაიცვალა ტანჟერში“.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 22 ნოემბერს 1904 წელს: „21 ნოემბერს ღამით შეტაკების შესახებ მოხსენება არ მიგვიღია“.

ბალტა, 22 ნოემბერი. კიშინევის საერობო გამგეობამ მოსკოვის საგუბერნიო საერობო გამგეობას 60 ათასი მანეთი გაუგზავნა სასანიტარო რაზმის მოსაწყობად შორეულ აღმოსავლეთისათვის.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
22 ნოემბერი

სეული, 19 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ სიონ-ჩიონიდან, რუსები, ეტყობა, ჩრდილოეთ-კორეიაში აპირობენ ზამთრის გატარებას. სიონ-ჩიონში ბევრი ფქვილი და სხვა სურსათი და საზამთრო ტანისამოსი მოიტანეს ჯარისათვის. გენზანში იაპონელებმა კორეელი აფიცერი დაატუსაღეს. ამ აფიცერს ჯაშუშობას აბრალებენ. ხმა დადის, იაპონელებს განზრახვა აქვთ, კორეის სამხრეთ პროვინციებში გადასახადების მოკრება თითონ იკისრონო. პეკინის მეციხოვნე ჯარის აფიცრები სამსახურიდან დაითხოვეს იმის გულისათვის, რომ რუსებს არ დაუშალეს, როცა ისინი კორეელ სალდათებს იარაღსა ჰყიდნენ.

შანჰაი, 21 ნოემბერი. „მორნინგ პოსტ“-ი იუწყება, ადგილობრივ გერმანელ ყასაბს რამდენიმე მილიონი ფუთი ხორცი შეუკვეთეს რუსის არმიისათვის. შანხაიში ინახება დიდძალი ქვა-ნახშირი, რომელიც რუსეთის საინტენდანტოს ეკუთვნის. ადგილობრივმა იაპონელმა კონსულმა ჩინელ მოხელეებს წინადადება მისცა, ღონისძიება მიიღეთ, რომ შანჰაიში დაბინავებულმა რუსის მეზღვაურებმა სასტიკად დაიცვან დისციპლინა, რადგან შანჰაიში 2 ათასამდე იაპონელი ცხოვრობსო.

ტოკიო, 21 ნოემბერი. „ტაიმს“-ი იუწყება: მთავრობის წრეებში ჰფიქრობენ, რომ საფრანგეთს სწორედ არ ესმის დადგენილება საიგონზე, როგორადაც საოპერაციო ბაზაზეო.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, სანამ იაპონელები პორტ-არტურს არ აიღებენ, მარშალი ოიამა იერიშს არ მიიტანს რუსის არმიაზე და არც დიდი ბრძოლა მოხდებაო. („ნ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ბ. ლოდიჟენსკი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: სარწმუნო ცნობები მომივიდა, რომ მდ. შახეზე ბრძოლის დროს შედარებით წინანდელთან მეტად ბევრი ხალხი დაიჭრა მძიმედ, ბევრს ძვალი აქვს გატეხილი. ეს იმით აიხსნება, რომ ეხლა ბევრ იაპონელ სალდათს ძველი თოფი და ტყვია აქვს მიცემული. რადგან მეტად ბევრი ხალხი დაიჭრა, ექიმები იარის შეხვევას ვერ ასდიოდნენ და ამიტომ ეხლა უფრო ბევრი ხალხი დაიხოცა ჰრილობისაგანაო.

„დეილი ტელეგრაფ“-ი ირწმუნება,—რუსეთი ნამდვილად ყიდულობს სამხედრო გემებს სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებისაგანაო. ეს გემები მსწრაფლ-მავალი და ძლიერი კრეისერებია; ჯერ მაგელანის სრუტისაკენ წავლენ და მერე იქიდან რუსის მეზღვაურები ადმ. როჟესტვენსკის ესკადრასთან შესაერთებლად წაიყვანენო. („რ.“).

ნიუ-იორკიდან დეპეშით ატყობინებენ „ბერლინერ ტაგებლატ“-ს: ამერიკული გაზ. „ჰეროლდ“-ი იუწყება, ამერიკელი გემთა აშენებელი ნიქსონი მალე რუსეთს წავა და იქ 100 ყველნაირ გემის აშენებას ზედამხედველობას გაუწევსო. ამ გემებს ორის წლის განმავლობაში ააშენებენ. მასალის მოტანა ამერიკამ და გერმანიამ იკისრესო. („ბ. ვ.“).

მას აქეთ, რაც რუსისა და იაპონიის ჯარი ხმელეთზე ერთმანეთს შეხვდა, რუსის კორესპონდენტები მუდამ იუწყებიან, რომ იაპონელებს მეტად სუფთად, კოხტად აცვიათო. როცა იაპონიის „კოხტად, სუფთად ჩაცმული ჯარი იერიშით წამოვა, კაცს იამებაო“. „რუსკი ინვალიდ“-ის კორესპონდენტმა ბ. კრასნოვმა პოეტურად ასწერა იაპონელ სალდათის თოფი და რანეცი. კორესპონდენტები თითქმის ერთხმად იუწყებიან, საზამთრო ტანისამოსიც კარგი აცვიათ იაპონელებსაო. რუსის ჯარს არა თუ ეხლა ზამთარში აკლია თბილი ტანისამოსი, ზაფხულშიაც არ ეცვა რიგიანი ტანისამოსი, ბევრი სულ დაგლეჯილი და ფეხშიშველა დადიოდა თურმე. ამიტომ იაპონელები ბრძოლის დროს ხშირად დაუძახებენ ხოლმე რუსებს: „აი თქვე დაგლეჯილებოო; რა თქვენი საქმეა ბრძოლა, დაგვანებეთთო!“ კორესპონდენტები სწერენ, მართლაც, რაღა დავმალოთ, რუსის ჯარს ძლიერ ცუდი ტანისამოსი და ფეხსაცმელი აცვიაო. ტანისამოსს გარდა, რუსის ჯარს საჭმელიც ცოტა და ცუდი ეძლევა, ჰმოწმობენ კორესპონდენტები. რუსის სალდათები ხშირად მშივრები იბრძვიან, ერთის სიტყვით, დიდ გაჭირვებაში არიანო. („კ“).

„მომავალი ბრძოლა დიდ-ოკეანეზე“. ამ სათაურით საინტერესო წერილია დაბეჭდილი „რუსკია ვედომოსტი“-ში. გაზეთის სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ვ. მ. სწერს: „რუსულ პრესაში, მეტადრე „ნოვოე ვრემია“-ში და „მოსკოვსკია ვედომ.“-ში მეტად ბევრსა სწერენ, როგორ უნდა მოიქცეს ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა დიდ ოკეანეზე, როგორ წავა ამ ესკადრის საქმე და გამარჯვების იმედია, თუ არა. ამ საქმის გადაწყვეტა მთლად იმაზეა დამოკიდებული, გასძლებს პორტ-არტური ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის მისვლამდე და რუსის ჯავშნიანი გემები პორტ-არტურში მანამდე გადარჩებიან თუ არა. აქ სამნაირი მოსაზრება შეიძლება: 1. შეიძლება პორტ-არტური ადმ. როჟესტვენსკის მოსვლამდე აიღონ იაპონელებმა და პორტ-არტურის ესკადრის გემები თითონ რუსებმა ააფეთქონ,—ზღვაში გასვლა და იაპონიის ფლოტთან შებრძოლება არც-კი სცადონ; 2. შეიძლება პორტ-არტური აიღონ იაპონელებმა, მაგრამ პორტ-არტურის ესკადრა უკანასკნელ წამს ზღვაში გავიდეს და ადმ. ტოგოს ფლოტს შეებრძოლოს; 3. შეიძლება პორტ-არტურმა გასძლოს დიდ-ოკეანეს მეორე ესკადრის მოსვლამდე და იქაური ჯავშნიანი გემებიც ცოტად თუ ბევრად გამოდგნენ ბრძოლისათვის. თუ, მოლოდინის წინააღმდეგ, პორტ-არტური დაეცემა და იქაურ გემებს თითონ რუსები ააფეთქებენ, მაშინ, ეჭვი არაა, დიდ ოკეანეს მეორე ესკადრა შუა გზიდან ისევ შინისაკენ უნდა გამობრუნდეს. ჩვენ წინადვე დავწერეთ (ეს წერილი ჩვენს გაზეთშიაც იყო გადმოთარგმნილი), რომ დიდ ოკეანის მეორე ესკადრა ერთი ორად სუსტია იაპონიის ფლოტზე და ამიტომ არავითარი იმედი არაა, რომ ადმ. როჟესტვენსკი მარტო თავის ესკადრით მოერიოს ადმ. ტოგოს. არა მგონია, რომ ის აზრი, ვითომ სწორე იყოს, იაპონიის ჯავშნიანი გემები ომის დროს იმდენად გაცვდებოდნენ, რომ რუსის ჯავშნიანი გემები გაცილებით ძლიერი იქნება იაპონიისაზე—და ამნაირად ადმ. როჟესტვენსკის გემები თუ რიცხვით არა, ღირსებით მაინც ემჯობინებიან ადმ. ტოგოს გემებსაო, იაპონიის ჯავშნიანი გემები შედარებით იშვიათად მოდიოდნენ პორტ-არტურთან, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ადმ. ტოგოს ფლოტის უმთავრესი გემები ომის დროს მომეტებულ ნაწილად ღუზაზე იდგნენ გაჩერებულნი ელიოტისა და მიაოდაოს კუნძულებთან და დალნიში. 23 აპრილამდე, როცა ყოველ დღე მოგვდიოდა ცნობა იაპონელების მოქმედებაზე პორტ-არტურთან, ადმ. ტოგოს ჯავშნით შემოსილი ფლოტი 88 დღეში (26 იანვრიდან 23 აპრილამდე), მხოლოდ 30 დღეს სჩანდა პორტ-არტურის წინ, მაშასადამე ეს ფლოტი ომის პირველ ხანის ერთი მესამედი ზღვაში დადიოდა, დანარჩენი ორი მესამედი ხანი ღუზაზე იდგა, „ჰაცუზე“-ს დაღუპვის (2 მაისს) შემდეგ იაპონიის ფლოტი უფრო იშვიათადაც მოდიოდა კვანტუნის ნახევარ-კუნძულის ნაპირებთან; 28 ივლისს ბრძოლისა და 10 აგვისტოს (10 აგვისტოს რუსის ესკადრა ხელ-ახლად ეცადა პორტ-არტურიდან ზღვაში გასვლას) შემდეგ იაპონიის ჯავშნიანი გემები თითქმის სულ აღარ ამოდიან ზღვაში. პორტ-არტურს მხოლოდ ნაღმიანი გემები და ისეთი სუსტი მსუბუქი კრეისერები ჰდარაჯობენ, როგორიცაა „ჩიოდა“ ანუ „სუმა“. დიდ ჯავშნიან კრეისერებიდან სექტემბერში კვანტუნის ნახევარ-კუნძულის ნაპირებთან მხოლოდ „ნისინი“ და „კასუგა“ ენახათ ორჯელ-სამჯერ. ვსთქვათ, რომ 23 აპრილიდან 17 აგვისტომდე იაპონიის ჯავშნიან გემებს ზღვაში სულ 28 დღე უვლიათ და წლის ბოლომდე კიდევ 30 დღეს ივლიან, მაშინ დავინახავთ, რომ 1 იანვრამდე იაპონიის ჯავშნიან გემებს საერთოდ სულ 88 დღე შეჰხვდებათ თითოს ზღვაში მოქმედება. რასაკვირველია, ეს ციფრი იქნება სწორე არ იყოს, მაგრამ მაინც არა მგონია, რომ შემცირებული იყოს; პირიქით, ეს ანგარიში უფრო გაზვიადებულიც უნდა იყოს, რადგან სექტემბერს აქეთ ადმ. ტოგოს ჯავშნიანი გემები ერთხელაც არ მისულან პორტ-არტურთან. ასე რომ იაპონელები ასეთს ტაქტიკას მისდევენ: არც საქმეს ახდენენ და ამავე დროს თავიანთ გემებსა და იმათ მაშინებსაც ძლიერ უფრთხილდებიან. ასეთის ტაქტიკის მიყოლა ორის მიზეზის წყალობითაა შესაძლებელი: პირველი, იაპონელები უმავთულო ტელეგრაფს ხმარობენ და მეორე, რუსის გემებს პორტ-არტურიდან სწრაფად გამოსვლა არ შეუძლიანთ. როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, გასავლის სივიწროვისა გამო, რუსის ესკადრა სულ მცირედ სამს საათს უნდება ნავთსადგურიდან გარე რეიდზე გასვლას და რეიდიდან ნაღმების ამოღებასაც ამდენს ხანსვე უნდება. ამ ექვსის საათის განმავლობაში ადმ. ტოგოს ესკადრას ტორ-

ტონის ბუხტაში, (ამ ბუხტაში ლუზაზე დგას გაჩერებული) ცნობა მისდის, ლუზადან იძვრის და რუსის ესკადრას პორტ-არტურიდან 15—20 მილის მანძილზე მოეწევა ხოლმე.

ადმ. როჟესტვენსკის ესკადრამ კრონშტადტიდან ვლადივოსტოკამდე 16 ათასი მილი უნდა გაიაროს; ამოდენა მანძილის გავლას 80 დღე-ღამე მოუნდება, სხვა და სხვა ადგილებში გაჩერებაც რომ არ ვიანგარიშოთ. ასე რომ რუსის გემებთან შეხვედრამდე, ადმ. ტოგოს ჯავშნიან გემებს ზღვაში სიარული მხოლოდ 8 დღით მოუხდებათ მეტი, ვიდრე დიდ-ოკეანის მეორე ესკადრას. მართალია ადმ. ტოგოს ესკადრას ხანდახან ბრძოლის რიგზე უხდებოდა სიარული, რისგანაც მაშინები და ქვაბები უფრო სცვდება, რუსის ჯავშნიანი გემები-კი სულ ნელ-ნელა ივლიან, მაგრამ სულ საერთოდ რომ ვიანგარიშოთ, არა მგონია, რომ ადმ. ტოგოს ჯავშნიან გემებს გაჩქარებით სიარული 60—70 საათზე მეტ ხანს მოჰხდომოდეთ ამ ომის დროს. ამას გარდა, ღელვის დროს ადმ. ტოგოს ესკადრას ლუზაზე დგომა შეეძლო, რუსის გემებს კი, გაშლილ ზღვაში რომ ღელვამ მოასწროთ, შეიძლება რამდენიმე დღეც მოუხდეთ სიარული ახლობელ პორტამდე. იქნება რუსის გემები შორეულ აღმოსავლეთს ჩასვლის დროს უფრო დაუზიანებელიც იყოს, ვიდრე იაპონიისა, მაგრამ ეს უპირატესობა იმდენად მცირე იქნება, რომ არავითარ გავლენას არ იქონიებს ბრძოლის დროს.

ადმირალ ტოგოს ჯავშნიანი გემები მაინც, უეჭველია, დაზიანდებოდნენ წინანდელ ბრძოლის დროს, ადმ. როჟესტვენსკის გემებს-კი ბრძოლა არც-კი უნახავთ. მაგრამ ამ გარემოების იმედად ნურავინ დადგება, ნურც იმის იმედი ექნება ვისმე, ვითომ იაპონიის გემებზე ომის დროს ზარბაზნები გაცვდებოდათ. აგვისტოდან იანვრამდე, იაპონელებს ხუთი თვე ექნებათ ხელთა დაზიანებულ გემების შესაკეთებლად. და თუ ალყა შემორტყმულ პორტ-არტურში, სადაც მხოლოდ ერთად-ერთი დოკი იყო, რომელშიაც საუკეთესო ჯავშნიან გემებს შესვლა არც კი შეეძლოთ, რუსებმა ძალზე დაზიანებული გემები სამ—ხუთ თვეში შეაკეთეს, კაცმა იმის იმედი როგორ უნდა იქონიოს, რომ იაპონელებმა თავიანთ 12 დიდსა და 20—25 პატარა დოკში და მშვენივრად მოწყობილ ქარხნებში გემების შეკეთება კარგად ვერ მოახერხონ. არც ზარბაზნებისა და ჯავშნის განახლება გაუჭირდებათ იაპონელებს, რადგან 1903 წლიდან კურეს არსენალში დიდს 12 დიუმიან ზარბაზნებსაც-კი ამზადებენ და ამ ზარბაზნების დადგმას სულ რამდენიმე დღე სჭირდება. 3 ათასი ტონა ჯავშანი ჯერ კიდევ შარშან შეუკვეთეს ამერიკის ქარხნებს და დაზიანებულ ჯავშნის მაგიერ რამდენსამე კვირაში ახალს გაუკეთებენ გემებს. რუსული გაზეთები ირწმუნებიან, ვითომ იაპონელები გაცვეთილ ქვაბების მაგივრად ახლებს ვერ დასდგამენ გემებზე. ესეც ტყუილია. იაპონიაში რამდენიმე წელიწადია, რაც იაპონელ ადმირალ მიაბარას გამოგონილ ქვაბებს ამზადებენ; ეს ქვაბები უფრო უკეთესი, მკვიდრი და სუმბუქი გამოდგა, ვიდრე ბელვილის ქვაბები (სხვაგან ბელვილის ქვაბები აქვთ გემებს) და ქვანახშირიც ნაკლები სჭირდება. მართალია ქვაბების გამოცვლას რამდენიმე თვე სჭირდება, მაგრამ იაპონიის ჯავშნიან გემებს ისეთი ქვაბები აქვთ, რომ იმათი შეკეთება ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება და ადვილიცაა,—სულ რამდენიმე დღე დასჭირდება. დიდ ოკეანეში მიმავალ რუსის გემებს-კი დაზიანებულ მაშინისა, ქვაბისა, თუ სხვა ნაწილის შეკეთება, რასაკვირველია, უფრო გაუჭირდებათ. ამიტომ სიფრთხილის გულისათვის, იმედი არავის არ უნდა ჰქონდეს, ვითომ ადმ. ტოგოს ესკადრა უფრო ცუდ მდგომარეობაში იქნება, ვიდრე რუსისაა. თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ისევე იმედი გაგვიცრუვდეს და სახტად დავრჩეთ, როგორც 28 ივლისს ბრძოლის შემდეგ დაგვემართა. მაშინაც გვეგონა, იაპონიის ჯავშნიანი გემები ან სულ დაიღუპა, ან შესაკეთებლად არიან გაგზავნილნიო და მერე კი რუსის ესკადრას ყველა ჯავშნიანი გემი უცებ წინ დაუდგა. რასაკვირველია, იქნება როჟესტვენსკიმ ადვილად მოახერხოს ვლადივოსტოკს მისვლა, მაგრამ ვლადივოსტოკის ნავთ-სადგურში მისვლა და გაჩერება როდი კმარა, რუსის ფლოტმა იაპონიის ფლოტი უნდა დაამარცხოს და ზღვაში გაბატონდეს. ასეთ დიდ საქმეს ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა მარტოდ-მარტო ვერ შეიძლებს. ასეთი დიდი საქმე რომ მარტოდ-მარტო ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას მიანდონ, ამით მხოლოდ რუსეთის უკანასკნელ ფლოტს უსარგებლოდ მსხვერპლად შესწირავენ“.

მანჯურიის პირველი არმია გენ. ლინევიჩისა და გენ. კუროკის არმია. „რუსკია ვედომოსტი“-ს მიმომხილველი ბ. ს. კ. განაგრძობს: „ხუაიჟენსიანის დაჭერის შემდეგ გენ. კუროკის შეუძლიან ორის მხრიდან დაეცეს სინცინტინს. სამხრეთიდან ციანჩინიდან იაპონელების რაზმი 4 ნოემბერს გაემართა სინცინტინისაკენ. 4 ნოემბერს იაპონელების ქვეითა ჯარის პატარა რაზმი—რამდენიმე როტა—დაპინდუშანს ახლო (სინცინტინიდან 35 ვერსტზე, სამხრეთით) რუსის ყაზახების სოტნას დაეცა, უკან დაახევინა და დაპინდუშანი დაიჭირა. დაპინდუშანი ცნობილია თავის ოქროს მადნით. ამავე დროს იაპონელებმა დიდი ჯარი შეკრიბეს (ასე იუწყებოდა „ბირჟევია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი) რუსის უმთავრეს ჯარის აღმოსავლეთ ფრონტის პირდაპირ, ესე იგი ბანიუპუზა-ფუშუნის გზაზე და „ყველა უღელტეხილი“ დაიჭირეს, ესე იგი დალინის ქედი დაიჭირეს მდ. შახედან ვინფულინის უღელტეხილამდე: იაპონელები იუწყებოდნენ, რუსებმა ჩვენს პოზიციებზე სოფ. ფანშენთან იერიში მოიტანესო. დალინის უღელტეხილი-კი ნოემბრის დამდეგს ჯერ რუსების ხელში იყო. ამის შემდეგ იაპონელებმა წინ წაიწიეს ბანიუპუზა-ფუშუნის გზაზე და 6 ნოემბერს შინხაილინის უღელტეხილი დაიჭირეს, უნგოუდან ოთხი ვერსტის მანძილზე სამხრეთით და ფინშენიდან შვიდი ვერსის მანძილზე, ჩრდილოეთით. ასე რომ გენ. კუროკის არმიის მოწინავე რაზმებმა კარგა წინ წაიწიეს ჩრდილოეთისაკენ და გენ. ლინევიჩის არმიის ცენტრსა და მარცხენა ფრთის შუა სოლივით შეიჭრნენ. გენ. კუროკის რომ კიდევ წინ წაეწია, გენ. ლინევიჩის მარცხენა ფრთას გზას მოუჭრიდა და რუსის უმთავრეს ჯარს მოსწყვეტდა. ამიტომ რუსის მოწინავე რაზმები 7 ნოემბერს დილით ამ ადგილს იერიშით წავიდნენ და უღელტეხილის ორსავ მხარეს გორები დაიჭირეს; თითონ უღელტეხილი-კი იპონელებს ძლიერ გაემაგრებინათ და იმის წინ ეკლიანი მავთული გაებათ. ასე რომ ბანიაპუზა-ფუშუნის გზაზე გენ. კუროკი გენ. ლინევიჩის ცენტრის გარღვევას ეცადა, ამავე დროს გენ. ლინევიჩის განაპირა მარცხენა ფრთის დამარცხებასა და დალინის ქედის აღმოსავლეთ ნაწილის დაჭერასაც ეცადა, მაგრამ 14 ნოემბრამდე ვერას გახდა“.

ახალი ამბავი

◆ ქალაქ სიღნაღის მახლობლად ქიზიყში, სოფელ. ჰოტორ-ნუკრიანის მიდამოებში **რუსებს ასახლებენ.** ადგილები უკვე მიუზომიათ და დაუყვიათ. თვით რუსები გაზაფხულზე ჩამოვლენ და დამკვიდრდებიან. სათანადო მთავრობამ დაადგინა, ჩუმლაყისა და ჯიმით-კაკაბეთის ტყეებიდან მისცეს რუსის გლეხებს სახლების ასაშენებლად საჭირო ხე-ტყე. ხე-ტყეს დაამზადებენ წინ-და-წინვე, რუსების ჩამოსვლამდე.

◆ **ბაქოს გუბერნიაში ხოლერა** კიდევ მძვინვარებს. ჯევათის მაზრაში გაჩენის დღიდან ხოლერით ავად გამხდარა 286 კაცი, მომკვდარა 217; ლენქორანის მაზრაში ავად გამხდარა 376, მომკვდარა 331; ყუბის მაზრაში ავად გამხდარა 20, მომკვდარა 14 კაცი. ქალაქ ბაქოში 19 და 20 ნოემბერს ავად გამხდარა 16, მომკვდარა 8 კაცი.

◆ 23 ნოემბერს ტფილისის **საგუბერნიო სამხედრო საკრებულომ,** ვიცე-გუბერნატორის ალიშევსკის თავმჯდომარეობით, განიხილა იმ ყმაწვილ კაცთა საჩივრები, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ მაზრის სამხედრო საკრებულოთა დადგენილებით. ბორჩალოს მაზრიდან საჩივარი შემოიტანა 34 კაცმა; აქედან 27 საჩივარი საგუბერნიო საკრებულომ უყურადღებოდ დასტოვა, ხოლო ხუთი მომჩივანი დაიბარა მეორედ გასასინჯად და შესამოწმებლად; ორის შესახებ დაადგინა მოახდინოს გამოძიება და, თუ მართალი აღმოჩნდა მათი საჩივარი, დააკმაყოფილოს. ქალაქ ტფილისიდან სამხედრო სამსახურში მიიღეს 259 კაცი, ამათში ურევია ყველა ის, რომელთაც მეორე ხარისხის შეღავათი ჰქონდათ. მიზეზი ამისა ის არის, რომ უშეღავათონი ბევრნი დაიმალნენ და არ გამოცხადდნენ. დამალულთა რიცხვი ტფილისში უდრის 68-ს.

◆ დღეს, 24 ნოემბრისათვის, სახაზინო თეატრში დანიშნულია **ბენეფისი ნიჭიერ არტისტის ვასილ აბაშიძისა.** მობენეფისეს ორი პიესა აურჩევია: გაბრიელ სუნდუკიანცის კომედია „მეუღლენი“ და პ. უმიკაშვილის სცენები „ბენეფისის წინ“. არც ერთი ეს პიესა ჯერ ქართულ სცენაზე არ დადგმულა. ამ საბენეფისო წარმოდგენაში მთელი დასი იღებს მონაწილეობას.

◆ მოგვივიდა „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ გამოცემული **კედლის კალენდარი** 1905 წლისა. კალენდარი ბევრად სუფთად და უკეთ არის გამოცემული, ვიდრე შარშანდელი იყო. სრულ საკალენდრო ცნობებს გარდა მოთავსებულია ლექსები, ანდაზები, თხზულებები, ბრძნული აზრები, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობები და სხვა. კალენდარი დიდის ტანისაა და ღირს, სხვა კალენდრებთან შედარებით, სულ იაფად—ათ შაურად.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამთო დეპარტამენტი შეეკითხა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რა მდგომარეობაშია შუამდგომლობა ინჟ. ხატისოვისა და ბრაილოვსკისა სოლოლაკის გორის **გვირაბის გათხრის** შესახებაო. გუშინ ქალაქის სამშენებლო განყოფილებამ აცნობა დეპარტამენტს, საქმე შეჩერებულია იმის გამო, რომ სინისტრის რწმუნებულმა მოითხოვა 46,000 მან. და ყოველ წლიურად 6000 მანეთიო.

◆ 22 ნოემბერს მოხდა კრება **ტფილ. პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა.** თავმჯდომარეობდა ახალი თავმჯდომარე გენერალი პ. ფ. ფონ-პარკაუ, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა. ბ-ნმა ფონ-პარკაუმ, სხვათა შორის, განაცხადა, პირუტყვთა მფარველი საზოგადოება ათას სხვა-და სხვა ზომას ხმარობდა პირუტყვთა ტანჯვა-წვალების მოსასპობად, მაგრამ ამ ზომებმა ნაყოფი ვერ გამოიღეს, რადგან პოლიციური ხასიათი ჰქონდათო. თავმჯდომარის აზრით, უმჯობესია სთხოვოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, დაავალოს მასწავლებელთა სასოფლო სკოლის დახმარებით გავლენა იქონიონ ამ მხრივ მოზარდ თაობაზე. შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა სამქედლოს გამართვაზე. გამოირკვა, რომ ამ საგნის შესახებ საჭირო მასალა არა ჰქონდა კრებას, ამიტომ დაადგინა, სთხოვოს რუსეთის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებებს, მოაწოდონ ამ საგნის შესახები მასალა. კრებამ მერე საპატიო წევრად აარჩია მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი ი. მ. მალამა. დასასრულ წევრმა ლისიციანმა წაიკითხა მოხსენება ქოთაოს შესახებ. ქოთაო ცხენებს გასჩენია ტფილისში. კრებამ დაადგინა, სთხოვოს უბნის მზრუნველებს, გამოიკვლიონ სად და ვისი ცხენებია ავად და აცნობონ გამგეობას.

◆ 18 ნოემბერს **გორში მოხდა არჩევნები** ქალაქის მოურავისა. ყუთი დაუდგამს ორ კაცს: სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად ნამყოფს ზაქარია დავითაშვილს და სამაზრო ექიმს ზაქარია ტერ-მინასოვს. რწმუნებულთა კრებას ორი კანდიდატი გაუშვებია.

◆ წელს ტფილისის მაზრიდან **ქენჭის ამოხალებად** გაიწვიეს 575 კაცი. მათგან პირველ ხარისხის შეღავათი ჰქონდა 169 კაცს, მეორე ხარისხისა 121 კაცს. მიუღიათ სამსახურში 254 კაცი.

◆ ქალაქის სკოლებში კურს დასრულებულმა 78 მოსწავლემ მოისურვა წელს ტფილ. სახელოსნო სასწავლებელში შესვლა, მაგრამ მიღებულ იქმნა მხოლოდ 36 კაცი. ქალაქის გამგეობის შეკითხვაზე გუშინ სასწავლებლის დირექტორმა აცნობა, რომ 1904 წლამდე სასწავლებელში ვიღებდით ყველას, ვინც ეგზამენს იჭერდა, ხოლო წელს, თანახმად ქალაქის თვითმმართველობის სურვილისა, უპირატესობა მიეცა იმ მოსწავლეთ, რომელთაც დაასრულეს ქალაქის სკოლები. ეგზამენი თუმცა კონკურსით არა ყოფილა, მაგრამ მხოლოდ 36 მოსწავლე აღმოჩნდა საკმაოდ მომზადებული და ამიტომ ამათ მეტი ვერ მივიღეთო.

◆ კავკასიის წყალთა ინსპექტორმა გუბერნატორს აცნობა: ხრამის სარწყავ ადმინისტრაციის ასარჩევად ოთხჯელ იქმნა დანიშნული კრება დ. ეკატერინოფელდში და არც ერთი რწმუნებული არ გამოცხადდა, თუმცა ხრამის სარწყავ ოლქში 264 კაცი ითვლებაო. ინსპექტორი სთხოვს გუბერნატორს მთავრობამ დანიშნოს მოხელენი.

◆ 20 ნოემბერს, ღამის 11 საათზედ, ალელოვის სახლში რაღაც ანგარიშების დროს [illegible] მუშტებით დაერივნენ [illegible] და [illegible], იოსებ ბადალოვი, ივანე [illegible] და ილია თუმანოვი. ჩხუბი ისე გაძლიერდა, რომ ერთმანეთს დანებითაც-კი დაერივნენ და დასჭრეს რამდენიმე კაცი. დაჭრილები მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად.

◆ 22 ნოემბერს პოლიციის 1 ნაწილში მცხოვრებ პოდპოლკოვნიკის ქვრივის ოლღა ფოგელის ბინაზედ შესულან ვიღაც ბოროტ-განზრახველნი, გაუღიათ კომოდი და ამოულაგებიათ ბრილიანტის ნივთები სულ 759 მანეთისა. ამ ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ გორის მაზრის მცხოვრებ დავით ტუხაშვილზე, რომელსაც გამოსდევნებია მეეზოვე ხელაშვილი და დაუპატიმრებია. გაჩხრეკის დროს ტუხაშვილს ნივთები აღმოაჩნდა. ნივთები გადასცა პოლიციამ პატრონს, ხოლო ქურდი დააპატიმრა.

◆ 21 ნოემბერს პოლიციის მე-3 ნაწილში აკოფ ნაზაროვის მაღაზიიდან ვიღაც ქურდს მოუპარავს ფულად 13 მანეთი და სარკე. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს გიორგი ალიხანოვზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში, ლაზარევის სახლში, ოლღა ოქროევისა და ივანე ხიზანოვის სამანუფაქტურო მაღაზია გაუტეხიათ ქურდებს 22 ნოემბერს. ქურდებს კიბე მიუდგამთ, მაღაზიის კარების ზემოდ ფანჯარა გამოუღიათ, გადამძვრალან შიგ აულაგებიათ სხვა-და-სხვა საქონელი 300 მანეთისა და მიმალულან.

ქალაქის საქმეები

22 ნოემბერი

კუზიანს სამარე გაასწორებსო, ჩვენ საბჭოს კი ეხლანდელ პირობებში რა გაასწორებს, არ ვიცი.

ხმოსნები რომ გვიან იკრიბებიან, ეს ძველი ამბავია და ამას ყველა შეურიგდა, მაგრამ შეკრებილებიც რომ სხდომას არ იწყებენ! სრული ნახევარი საათი რეკა მდივანმა ზარი, კაცი გაგზავნეს ხმოსნების დასაძახებლად, ხმ. რუდაკოვი გავიდა დარბაზიდან და მუხლმოდრეკილი ევედრებოდა ამხანაგებს—შემოდით და საქმეს შევუდგეთო, ბოლოს თვითონ თავმჯდომარე გამოვიდა და ამავე მუდარით მიჰმართა ხმოსნებს და, როგორც იქნა, სხდომა დაიწყო.

პირველად გამგეობის წევრი ენფიანჯიანცი აწამებს და ეს წამება სავსებით დაუმსახურებია ბატონ ენფიანჯიანცს: ყველა ჩივის, ტრამვაის ახალ ლიანდაგის მიზეზით ქუჩები აუტანელ მდგომარეობაში არის. ქალაქის გამგეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებასაო. ბატონი ენფიანჯიანცი ამტკიცებდა—ხელშეკრულების ძალით ვერას გავხდებით, იქ სამაგისო არაფერი არის და სხვა ღონისძიებას უნდა მივმართოთო. ხმ. ხუდადოვმა სთხოვა გამგეობას, წაიკითხეთ ხელშეკრულების მეათე მუხლიო. წაიკითხა თვითონ ენფიანჯიანცმა და აღმოჩნდა, რომ ტრამვაის საზოგადოება მოვალეა ერთის კვირის განმავლობაში გაასუფთაოს ქუჩა ლიანდაგის დაგების შემდეგ.

გამგეობის წევრმა, რომელსაც საგანგებოდ აქვს მინდობილი საამშენებლო ნაწილი, არ იცის ხელშეკრულების შინაარსი, ეს ერთი, მეორე—საბჭოს წინა სხდომაზე ბ-ნმა ენფიანჯიანცმა სრულიად შემცდარი ცნობები მიაწოდა საბჭოს ნავთლუხის ნავთის მილის შესახებ, რკინის გზას რომ გაჰყავს ქალაქის ადგილში. გამგეობის წევრს არც ამ საქმის სცოდნია რამე. ან საიდან უნდა იცოდეს, როცა არავითარი საქმე არ მოეძებნება თურმე. შეიძლება, ტიგრან ამბარცუმიანს განზრახ არ ჩაედინოს, მაგრამ მაინც ყალბი ცნობები მოგვაწოდაო, სიამოვნებით აღნიშნეს ხმ. ხმ. მირზოევმა და არ. ბაზოვმა.

განსახილველად დანიშნულ საქმეებიდან მხოლოდ ერთს მოჰკიდეს ხელი ხმოსნებმა და ისიც ვერ დაამთავრეს.

თ. ნ. ა. ჩოლოყაშვილი თხოულობს ქალაქიდან გაზის ქარხნის მოწყობისა და ექსპლოატაციის კონცესიას შედარებით შეღავათიანის პირობებით (რამდენჯერმე გვქონდა მოხსენებული). კონცესია საზოგადოთ სასურველი არ არის, მაგრამ როცა ქალაქი თვითონ არაფერს აკეთებს და არც იმედია, რომ ახლო მომავალში გააკეთოს, ქალაქის თვითმმართველობა ვერ უარჰყოფს სა-

ფელეტონი

წერილები გერმანიიდან*)

მწვავე საკითხები

წინა წერილში მოკლედ აღვნიშნეთ თანამედროვე გერმანიის საჭირ-ბოროტო საკითხები დემოკრატიულ რეფორმების შემოღება და მთავრობის რეაქციონურ მისწრაფებათა ძირიანად აღმოფხვრა, ბიუროკრატიულ-პოლიციურ სულის ყოველ სფეროდან განდევნა და მათ თავისუფალ სხივის შეშუქება,—აი, ჩვენის აზრით, გერმანიის შინაურ ცხოვრების მწვავე საკითხები.

არის კიდევ სხვა მწვავე საკითხები და მათ შორის კათოლიკეთა დასის საკვირველ ზრდას ყველაზე უფრო დიდი და სერიოზული მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ ამ ბოლო დროს კათოლიკეთა დასი—ცენტრი—საშინლად გაძლიერდა და იმისმა გავლენამ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და მთავრობის მოქმედებაზე შესამჩნევად იმატა. იგი დღეს უძლიერესი დასია გერმანიის რეიხსტაგში. *) თითქმის ლანდტაგებშიაც თავის ძალას კარგად გრძნობს და ამიტომ ახლა უფრო თამამად აცნობებს ხოლმე საზოგადოებას თავისთავს, თავის მომავალს, ვიდრე წინად…

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ბისმარკის ეგრედ წოდებულმა „კულტურულმა ბრძოლამ“ კათოლიკეთა წინააღმდეგ დიდი ზარალი მოიტანა იმ მხრივ, რომ დევნამ ყველა მართლ მორწმუნე კათოლიკე შეაერთა და მით ცენტრის მნიშვნელობა კათოლიკურ გერმანიისათვის ერთი-ორად გაადიდა. ბისმარკი შეურიგებელი მტერი იყო კათოლიკეთა ეკლესიისა და საზოგადოდ კათოლიციზმისა. იმას კარგად ესმოდა, თუ რა საშიშ და მავნე მოვლენას წარმოადგენდა იგი კულტურისათვის და კერძოდ გერმანიისათვის (რადგან რომის პაპი გერმანიის გაერთიანების დიდი წინააღმდეგი იყო. პაპს არა სურდა, რომ გაერთიანებულ გერმანიის მეფედ პროტესტანტი ყოფილიყო. ამით აიხსნება ის, რომ გერმანიის ერთობის მომხრენი პაპს თავიანთ ეროვნულ მტრად სახავდნენ), და ამიტომაც განიზრახა იმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დაწყება. მაგრამ ეს ბრძოლა ცუდად იქმნა დაწყებული. „რკინის კანცლერმა“ წრეს გადასცილდა და კლერიკალურ სულის აღმოფხვრის სურვილით გატაცებულმა დიდი შეცდომა ჩაიდინა: სახელდობრ, კათოლიკეთა სარწმუნოებასაც დევნა დაუწყო, იმის წინააღმდეგ ბევრი ძალმომრეობა იხმარა. ამ გარემოებამ, ე. ი. სარწმუნოებრივ თავისუფლების შელახვამ, დიდად შეუწყო ხელი კათოლიკეთა პოლიტიკურ დასის გავლენის გაფართოებას. ყველა კათოლიკენი შეერთდნენ, რომ დაეცვათ შელახული სარწმუნოება თვითნებობისაგან. მკითხველმა უნდა იცოდეს ისიც, რომ გერმანიაში არიან პროტესტანტებიც, ევანგელისტებიც, კათოლიკენიც და მრავ. სხვანიც. ამიტომ ადვილია სარწმუნოებრივ შურის და მტრობის ჩამოგდება. ცენტრის მეთაურებმა კარგად ისარგებლეს ამ გარემოებით და კათოლიკე გერმანელნი ფეხზე დააყენეს. ამნაირად ბისმარკის მიერ მიღებულ რეპრესიულ ზომებს უნდა მოვაწეროთ ცენტრის გაძლიერება. თუ წინად ცენტრს თავის დაცვა სურდა, ეხლა, როდესაც მან დიდი გავლენა მოიპოვა, თავის სატრფიალო აქამდის დამალულ სურვილთა განხორციელებასაც ჰლამობს. თუ წინად განუმეტებული იყო და მხოლოდ ძალმომრეობის წინააღმდეგ იღებდა ხმას, ეხლა ნამდვილი სახით ეწვენება საზოგადოებას, ეხლა, როგორც მბრძანებელი, თამამად გამოდის ბრძოლის ველზე და თამამადვე აცხადებს თავის წადილს. ან რისა უნდა ეშინოდეს ან რცხვენოდეს, როდესაც დარწმუნებულია, რომ ყველაფერი გაუვა, რასაც კი მოისურვებს.

გერმანელ კლერიკალებს სწადიანთ თავის ქვეყანაში კლერიკალურ სულის გამაგრება-გაბატონება. მკითხველისათვის ახალი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თავისუფალ ადამიანის მოქმედების შებორკვა და გონების დაბნელება შეადგენს კლერიკალურ პოლიტიკის მთავარ თვისებას. მისი გაბატონება ნიშნავს სარწმუნოების, ხელოვნების, მეცნიერების, აზრის და სიტყვის თავისუფლების სამუდამოდ გაქრობას. ყოველივე, რაც დოგმას არ ეთანხმება, რაც თავისუფალ აზროვნების ნაყოფს წარმოადგენს, დიდი ცოდვაა. გონების დაბნელება და ამით კრიტიკულ აზრის გაქარწყლება მისთვის საუკეთესო საშუალებაა, რომ მისი ნამდვილი სახე უცნობი დარჩეს. ამ მიზნისათვის სკოლის საქმეთა ხელში ჩაგდება საუკეთესო რამ არის. სკოლა თუ კლერიკალური იქნება, მაშინ ცხადია, იმ ქვეყანაში, სადაც პირველ დაწყებით სწავლის მიღება ყველასთვის აუცილებელია, ხალხიც კლერიკალურ აზრებით იქნება გამსჭვალული. ამისათვის კი ეგრედ წოდებულ კონფესიონალურ (სარწმუნოებრივი სამრევლო) სკოლათა გავრცელება საუკეთესო ხერხია, რადგან ასეთ სკოლებში უმთავრესად საღვთო რჯულს ასწავლიან და ნორჩ თაობის მოუმწიფებელ გონებას სხოლასტიკით სწამლავენ. ყველგან, სადაც კი კათოლიკეთა დასი ძლიერია, დიდი ბრძოლაა ასეთ სკოლების გასავრცელებლად. გერმანელებიც არ ჩამორჩნენ უცხო თანამოაზრეებს და ფიქრობენ დიდის ხნის სურვილის პრაქტიკულად განხორციელებას. აგიტაცია უკვე დაწყებულა. [illegible] ერთმა ცნობილმა ორატორმა საჯაროდ განაცხადა, რომ არა თუ მარტო პირველ დაწყებითი სკოლა უნდა იყოს კლერიკალურ სულის მხედველობის ქვეშ, არამედ საშუალო და უმაღლესი სასწავლებელიც ასეთსავე მდგომარეობაში უნდა იყოსო. ასეთმა ურცხვმა განცხადებამ მთელი გერმანია გააოცა.

ულტრამონტანები ამასაც არ დასჯერდნენ. ისინი ახლო მომავალში ჰფიქრობენ რეიხსტაგში პროექტის შეტანას ამ აზრის განსახორციელებლად იმ იმედით, რომ კონსერვატორები თანხმობას გამოაცხადებენო. მთავრობასაც დიდი მოწინააღმდეგე არ იქნება, რადგან იგი ამ ბოლო დროს ცენტრის მიმართ ნაზ პოლიტიკას ადგია. მთავრობამ გააუქმა წელს განსაკუთრებული კანონი იეზუიტების წინააღმდეგ (წინად იეზუიტებს არა ჰქონდათ ნება გერმანიაში ცხოვრებისა) და ასეთის გამამხნევებით გათამამებულნი ულტრამონტანების დასი ამ გვარ კანონ-პროექტის შეტანასაც გაჰბედავს. ამიტომაცაა, რომ ეს საკითხი გერმანულ პრესისათვის დღიურ საკითხად შეიქმნა, რომლის შესახებაც გაცხარებით მსჯელობენ.

ცენტრის სურვილი შიშის ზარსა ჰცემს თავისუფლად მოაზრე გერმანიას და იგი დიდ იდეურ ბრძოლის დაწყებას აპირებს ამ საშიშ ბნელ ძალის წინააღმდეგ. ცენტრის დასუსტება-დაუძლურება და მით მოშხამულ ჰაერის გასუფთავება—ეს კულტურის განვითარების უპირველესი და აუცილებელი პირობაა და, რა თქმა უნდა, საზოგადოების პროგრესიული ნაწილი, განურჩევლად პოლიტიკურ შეხედულებათა, ძლიერ დაინტერესებულია ამ ბრძოლის გათავებით. სხვა-და-სხვა მიმართულების პოლიტიკურ დასებს ჰსურთ შეერთება რომ საერთო მტერი საერთო ძალით დაამარცხონ და მით კულტურული განვითარება იხსნან იმ შემაფერხებელ განსაცდელისაგან, რომელიც უეჭველად მოელის, თუ საზოგადოება კლერიკალურ ცენტრის სურვილს შესაფერ წინააღმდეგობას არ გაუწევს. ამიტომაც თავისუფლად მოაზრეთა დასს ძლიერ სწადია სოციალ-დემოკრატიასთან დაახლოვება და ერთად მოქმედება…

თავისუფლად მოაზრეებს ჰსურთ პროგრესიულ დასთა გაერთიანება იმნაირად, როგორც ეს საფრანგეთშია. ისინი მტკიცედ დარწმუნებულნი არიან, რომ ნაციონალ-ლიბერალებს, ლიბერალებს და სოციალისტებს შეუძლიათ დროებით შეერთება მთავრობის და აგრარიების რეაქციონურ მისწრაფებათა ასალაგმავად და თანამედროვე კულტურისათვის სახიფათო ულტრამონტანიზმის დასამარცხებლად. თუ დასახელებულნი დასნი ცალ-ცალკე იმოქმედებენ, თუ ისინი არჩევნების დროს ერთმანეთს არავითარ დახმარებას არ გაუწევენ, მაშინ რეაქციონერები და ცენტრი თავისს სურვილს ადვილად განახორციელებენო. თუ ოპოზიცია გაერთიანდება, მაშინ იმისი პოზიცია შესამჩნევად გამაგრებული იქნება და საშიში არა იქნება რაო; მაშინ გერმანიის რეიხსტაგიც სულ სხვა ხასიათს მიიღებს, რადგან ბნელი ძალა დასუსტდება. ასეთი შეერთება, მათის აზრით, აუცილებელია. თუ კი ოპოზიციას ჰსურს თავისი ქვეყნის ნამდვილი ინტერესები დაიცვას, თუ კი მას შეუძლიან თანამედროვე საშიშ მდგომარეობის გაგება.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ თავისუფლად მოაზრეთა დასს ამ ბოლო დროს დიდი წინსვლა ეტყობა. როგორც მისი მეთაურნი, გულწრფელად ამბობენ, ლიბერალიზმი ამ ბოლო დროს ჩამორჩა ახალ ცხოვრებას; ახალი მოთხოვნილებები, განსაკუთრებით სოციალური საკითხი, რომელიც შეადგენს ახალ დროის ერთ ნიშნობლივ თვისებას, სრულებით გამორჩა იმის თვალთა ხედვის ისარს. იგი ვერ ესარგებლებოდა ახალ ცხოვრებას, როგორც ეს ნამდვილ ლიბერალიზმს შეჰფეროდა. ორჭოფობა, ხალხისაგან შორს დგომა იმის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა. ხა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც“. № 2673.

*) რეიხსტაგში დეპუტატთა რიცხვი განაწილდება ამნაირად: კონსერვატიული დასი—52, თავისუფალ-კონსერვატორები—19, ანტისემიტები—11, ნაციონალ-ლიბერალები—50, თავისუფლად მოაზრენი—30, ცენტრი—100, სოციალ-დემოკრატები—81, პოლონელები—16, ელზასელები—10 და სხვ.

კონცესიო წესს. (ეს ხმ. ხატისოვისა არ იყოს ასეთი პოლიტიკა ძაღლისა და თივის ცნობილ არაკს ემზგავსება. ეს ჩვენმა ხმოსნებმაც კარგად იციან და თუ ზოგი მათგანი ხელშეკრულობის პროექტის ყოველ უმნიშვნელო მუხლს ჩაჰკირკიტებდნენ, ეს პრინციპიალურ ხასიათის კამათი არ იყო, მას სულ სხვა სარჩული უნდა ჰქონდეს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზოგ ხმოსნების უცნაური ქცევა: საბჭომ დიდმა უმრავლესობამ გადასწყვიტა საქმე და მიიღო თავ. ჩოლოყაშვილის შუამდგომლობა. ხმოსნებს იმდენი პატივისცემა უნდა ჰქონოდეთ საბჭოსი, რომ აღარ უნდა სცდილობდნენ მოწონებულ და მიღებულ საქმის ჩაფუშვას. ხმ. ხმ. ლისიციანი, ვართანოვი, გრიქუროვი, ევანგულოვი და სხვები, რაკი ამათი აზრი არ გავიდა, სულ იმის ცდაში იყვნენ, ისეთი მუხლი შეეტანათ ხელშეკრულების პროექტში, რომ კონცესია შეუძლებელი გამხდარიყო. ეგ საბჭოს პატივისცემა არ არის.

პრესსა

რაც დრო მიდის, უფრო კარგ ნიშნებს იძლევა რუსეთის ცხოვრება: პრესისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა გამოფხიზლება უეჭველი ფაქტია და, რაც უფრო საგულისხმიეროა, ამ გამოფხიზლებას ყურს ათხოვებენ სადაც ჯერ არს.

ამ მოკლე ხანში რუსეთის ქრონიკაში მოყვანილი გვქონდა ის ამბავი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრად აქვს გადასინჯოს ნაწილი საქალაქო დებულებისა და გააფართოვოს საარჩევნო უფლებანიო. ეხლა კიდევ უფრო საყურადღებო ამბავს გვატყობინებენ:

> საქალაქო დებულების გადასინჯვამდე წინადადება მიეცემა საქალაქო თვითმმართველობათ გამოსთქვან თავიანთი შეხედულებანი შესახებ არსებულ საქალაქო დებულების ნაკლულევანებათა და იმ ღონისძიებათა და ცვლილებათა, რომელთა განხორციელება გამოიწვევს საქალაქო საქმის გაუმჯობესებას.

დიდი ხანია ყველას საანბანო ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ ბიუროკრატიის მიერ კაბინეტში შეთხუზული რეფორმა ცხოვრებისათვის გამოუსადეგარია. თუ რეფორმის საჭიროება შეგნებულია, უნდა ეკითხოს თვით იმათ, ვისაც რეფორმა ეხება, ამ შემთხვევაში—ქალაქის თვითმართველობათ. და საუკეთესო გზა და მომენტი ასეთ შემთხვევისათვის იქნება ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელთა კრება პეტერბურგში, რასაც ეხლა ბევრი ქალაქი შუამდგომლობს.

⁂

როცა გაუნათლებელი ბრბო, ღვინით და არყით გალეშილი რუსეთის რომელსამე მივარდნილ ქალაქში ებრაელების უბანს მიესევა და არაფერს არ დაინდობს, ეს ადვილი ასახსნელია და ხშირად საპატიელებიც. მაგრამ როგორ მოგწონთ შედარებით მაღალ თანამდებობის პირი, რომელიც გატაცებულია ამ გვარივე ტომებრივ მძულვარებით!

„იუჟნიე ზაპისკებში“ მოთავსებული ყოფილა კორესპონდენცია ნოვოროსიისკიდან. ეს კორესპონდენცია გადმოუბეჭდია გაზეთ „კავკაზ“-ს (20 ნოემბერი) და ჩვენც სრულად მოგვყავს.

> „იუჟნიე ზაპისკებს“ ატყობინებენ ნოვოროსიისკიდან, რომ იქ ნავთსადგურის მმართველობამ, ვითომდა რუსულ ინტერესების დასაცველად, მოულოდნელად გაილაშქრა იმ ქართველების წინააღმდეგ, რომელნიც მუშებად არიან რუსეთის სანაოსნო საზოგადოების გემებზე. რითი გამოიწვიეს ამ საბრალო მუშაკებმა ასეთი რისხვა? საქმე იმით დაიწყო, რომ ნავთსადგურის უფროსმა მიიწვია თავისთან ხსენებულ მუშების არტელის გამგე და კატეგორიულად მოსთხოვა, რომ ყველა ქართველი მუშები გაერეკა და მათ ადგილზე რუსის მუშები მიეწვია. ამ ბრძანებაზე არტელის გამგემ უპასუხა, რომ იგი არტელის პატრონი კი არა, არჩეული პირია და უფლება არა აქვს მუშების მოწვევა-დათხოვნისა. ნავთსადგურის უფროსი მიხვდა თავის შეცდომას და ეღარ მოითხოვა ბრძანების ასრულება.
>
> სამაგიეროდ მეორე დღეს, როცა მუშებმა თავი მოუყარეს ნავთსადგურზე მუშაობის დასაწყებად, ველოსიპედით მობრძანდა ნავთსადგურის ბოქაული და ქართველ მუშებს არა საკადრის სიტყვებით დაუწყო ლანძღვა-გინება. მის სიტყვებიდან გამოდიოდა, ვითომ ქართველი მუშები სულ ქურდები და ავაზაკები იყვნენ, ვითომ მათი ყოფნა რიგიანად მოწყობილ ქალაქში შეუძლებელი იყოს და ამიტომ მოსთხოვა მათ—დაუყოვნებლივ აიბარგეთ და თქვენს სამშობლოში წაეთრიეთო. შეგიძლიათ წარმოადგინოთ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვამ მსმენელებზე, რა აღშფოთება გამოიწვია მათში ამ დაუმსახურებელმა შეურაცხყოფამ! მიუხედავათ ამისა ქართველ მუშების თავდაჭერილად იყვნენ, მხოლოდ სთხოვეს ბოქაულს ცოტა ზრდილობიანად ყოფილიყო.
>
> ძალა-უნებურად გებადება კითხვა: როდის მოეღება ბოლო ამ ველურ სცენებს? როდის იქნება, რომ ადამიანის პიროვნება უზრუნველ-ყოფილი იქნება შეურაცხყოფისა და თვითნებობისაგან?

ვისაც კი უმოგზაურნია გემით შავის ზღვის ნაპირების ჩაყოლებით, ყველას ნახული ექნება ჩვენი მუშები ნავთსადგურებში. ამათ სიმარჯვესა და სიმკვირცხლეს თვითონ რუსები მოუყვანია აღტაცებაში. ამიტომაც არის, რომ გემების პატრონები ჩვენებს აძლევენ უპირატესობას. გარდა ამისა, რუსის მუშა ხშირად ლოთობს და თავის დროზე ვერ მოდის სამუშაოდ; ჩვენები კი ამ მხრივ წუნ-დაუდებელი არიან. ეგრე რომ არ იყოს, აბა ვინ მისცემდა ქართველ მუშას საქმეს!

და მიუხედავათ ყველა ამისა გარეკას უპირებენ, ნოვოროსიისკის ნავთსადგურიდან მაინც.

ქართველი მუშა ცოლშვილსა და სამშობლოს სტოვებს, აუტანელ პირობებში აუტანელ შრომას ეწევა და თურმე ამის უფლებაც არ ჰქონია—ქართველი ხარ, აიკარ შენი გუდა-ნაბადი და დაიკარგე აქედანო! ქართველობას დანაშაულობაში უთვლიან.

თეატრი

დღეს ბ-ნ გ. აბაშიძის საბენეფისოდ სახაზინო თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ ენაზე სუნდუკიანცის ხუთ-მოქმედებიანი კომედია „მეუღლენი“. მოგვყავს ამ პიესის შინაარსი.

არკადი სამსონიანი, დიდი მოხელე, გარყვნილი და დაცემული კაცი, რომელიც სახელმწიფო მიზნით შეკრებილ ფულსაც კი ითვისებს, მთელ თავის სიცოცხლეს ქალების დევნა-არშიყობაში ატარებს: ახლო დამოკიდებულება აქვს თავის უმცროს მოხელის აბელ მასტაკიანის ცოლთან ელიზასთან, თავ-გამოდებით ეარშიყება ახალგაზრდა ქვრივს როზალია გარგარიანს, სახლში მოსამსახურე გოგოსაც არ უშვებს და კაფეშანტანის მოქეიფე ქალებთანაც ატარებს დროს მხიარულად.

სათნოიანი და პატიოსანი ცოლი მისი ახალგაზრდა მარგარიტა ყველა ამას ხედავს და იტანჯება. ბოლოს ვერ გაუძლო ამდენ თავის დამცირებას, სტოვებს ქმრის სახლს და თავის ამხანაგთან ელენესთან ერთად განმარტოებულად სცხოვრობს.

მარგარიტა გაგიჟებით უყვარს არტაშეზ ასასიანს, რომელიც სამხედრო სამსახურის პირია, მაგრამ თან ცნობილი რომანისტი და მწერალი. მარგარიტა და არტაშეზი ბავშვობიდან თან შეზრდილი იყვნენ და დიდის ხნის უნახაობის შემდეგ ერთმანეთს რო შეხვდნენ, ორივეს გრძნობამ გაიღვიძა ახალის ძლიერებით, მაგრამ ამ ორ კეთილშობილ არსებათ ბედნიერი ცხოვრება არ შეუძლიათ—წინ უდგათ მოძველებული კანონი და შეუბრალებელი უსინდისო ქმარი, რომელიც სცდილობს ჩირქი მოსცხოს თავის ცოლს და მეორედ ცოლის შერთვის უფლება დაირჩინოს. მარგარიტა არ თანხმდება და არტაშეზიც მზად არის თავი დასდოს, რომ თავის სათაყვანო საგანს თავისუფლება მოუპოვოს. „სიკვდილი ან თავისუფლება“ ო, ამბობს არტაშეზი პიესის ბოლოს და ამავე სიტყვებს იმეორებს მარგარიტა.

პიესაში გამოყვანილია კიდევ შემდეგი პირები: აბელ მასტაკიანი, ყურ-მოჭრილი ყმა თავის უფროსისა, რომელიც მის ცოლთან სცხოვრობს, ლეონ შირაქიანი, კეთილშობილი მეურნე, სოფლისა და სოფლელების მოტრფიალე და მეგობარი, ელენე ანთასამი, მასწავლებელი ქალი, უანგაროდ გატაცებული ხალხის განათლების საქმით და სხვები, ნაკლებ მნიშვნელოვანები.

სასამართლო

დავა მთის გამო

არავისათვის ახალი არ არის, რომ დღეს ჩვენში სოფლად დავიდარაბასა და ჩხუბს უმთავრესად იწვევს ადგილ-მამულებისა და ტყე-მინდვრების დაუგეგმობა და გაუმიჯვნელობა. მთელი ჩვენი ქვეყანა რომ დაიაროთ, ორ მეზობელს ვერა ჰნახავთ, რომ ადგილებისა გამო დავა არა ჰქონდეთ, რაც ხშირად გალატაკებითა და სისხლის ღვრით თავდება. ხალხი გამრავლდა, მეტს სარჩო-საცხოვრებელს თხოულობს, და აი აქ მიწის გაუმიჯვნელობა საუკეთესო ნიადაგია ზოგიერთა მკლავძეთა ძალმომრეობისათვის ამ ნიადაგზე აღძრული დავა ხშირად ოცს და მეტს წელიწადს გასტანს ხოლმე სასამართლოებში. ერთი ასეთი საქმე ამ დღეებში გაარჩია ტფილისის სამოსამართლო პალატამ. დავა ასტყდა შორაპნის მაზრის სოფელ სავანის მცხოვრებ დიმიტრი, სამსონ, დავით, ანტონ და სხვა მათ თანამონაწილე აბაშიძეებსა და ფასია (იგივე სამსონ) ილია, ალექსანდრე, სიმონ, შამშე და სხვა მათ მონაწილე აბაშიძეებს შორის. ამათ გარდა მოდავე-მონაწილენი არიან აგრეთვე ივანე ჯაფარიძის მემკვიდრენი. სადაო არის დურევის მთა. ამ დავის დროს დიდ-ძალი ფული დახარჯულა და ამას გარდა ბევრი დაჭრილა კიდეც. როგორც საქმიდან სჩანს, 1896 წელს სოფელ სავანის მცხოვრებ აზნ. ხახულ, სამსონ, დავით, დიმიტრი, ანტონ და სხვა აბაშიძეებს საჩივარი შეუტანიათ ოლქის სასამართლოში და განუცხადებიათ, სოფელ დურევის მთა, ზომით 2000 დესეტინა, შეადგენს ჩვენსა და ივანე ჯაფარიძის მემკვიდრეთა საკუთრებას, ნახევარი ამ მთისა ჩვენია, ნახევარი ჯაფარიძეებისაო. ამისდა მიუხედავად,—სწერდნენ მომჩივანნი,—აზნ. ფასია, ილიკო, ანდუყაფარ, ნიკო, ივანე და სხვა აბაშიძეებმა, თუმცა მათ არასოდესაც არავითარი მონაწილეობა არა ჰქონიათ, დაიფლეს მთის ნახევარი და ჩვენ მხოლოდ მეოთხედი-ღა დაგვინარჩუნესო; პირველად ამ აბაშიძეებმა ხელი გამოიღეს 1886 წელს, მოსჭრეს სამი ხე და მას აქეთ ნახევარი მთა მიითვისესო. მომჩივანთა საპასუხოდ ფასიასა და იმის თანამონაწილე აბაშიძეებს წერილობით უცნობებიათ სასამართლოსათვის: უხსოვარ დროიდან დურევის მთა შეადგენდა და დღესაც შეადგენს როგორც ჩვენის, ისე მომჩივანთა ჯაფარიძეთა საერთო სამფლობელოს; მთა უნდა გაიყოს ცხრა ნაწილად, აქედან ერთი მეცხრედი ეკუთვნის მომჩივან ხახულ და სხვა აბაშიძეებს, ხუთი მეცხრედი—ჯაფარიძეებს და სამი მეცხრედი ჩვენ ფასია და სხვა აბაშიძეებისო. სასამართლოს საქმის გარჩევის დროს გამოუკითხავს მრავალ მოწმისთვის, კანონიერად ჩაუთვლია მომჩივან აბაშიძეების საჩივარი და დურევის მთის ნახევარ ნაწილის მესაკუთრეებად მომჩივანნი დიმიტრი და სხვა აბაშიძენი უცვნია, ხოლო მეორე ნახევრისა—ივანე ჯაფარიძის მემკვიდრენი. სასამართლოს განაჩენით, მოპასუხეთ ჩამოერთვათ დურევის მთით სარგებლობა და ამას გარდა მათ სასამართლომ დაადო საქმის საწარმოებელი 507 მ. 11 კაპ. მომჩივანთა სასარგებლოდ. მოპასუხენი თანახმანი არ გახდარან ასეთის გადაწყვეტილებისა და საქმე გადაუტანიათ პალატაში, სადაც მოპასუხეთა მხრით გამოვიდა ნაფიცი ვექილი ა. ი. ყარაბეგოვი, ხოლო მომჩივანთა—ბ-ნი კვირკელია. ორივე ვექილმა დიდხანს ილაპარაკა.

პალატამ ამ საქმის შესახებ განაჩენი გამოაცხადა 20 ნოემბერს. პალატამ, თავის განაჩენით, გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და მომჩივანნი სამსონ, დავით, ვლადიმერ, მამუკა, დიმიტრი, ანტონ აბაშიძეები და ხახულ აბაშიძის მემკვიდრენი იცნო დურევის მთაში ერთ მეცხრედ ნაწილის მესაკუთრედ, ხოლო დანარჩენზე უარი გამოუცხადათ მათ. საქმის წარმოების ფულიდან $^8/_9$ ნაწილის გარდახდა პალატამ დააკისრა მომჩივნებს, ხოლო $^1/_9$ ნაწილისა მოპასუხეებს.

რუსეთის ქრონიკა

◆ ფიქრობენ, პეტერბურგში მოახდინონ საქარხნო ინსპექტორების კრება. უნდა შეიკრიბოს 18 უფრო სამრეწველო გუბერნიის ინსპექტორი. 1903 წლის 2 ივნისის კანონმა, რომელიც დაშავებულ მუშათა დაჯილდოვებას შეეხება, ბევრი უთანხმოება გამოიწვია. კრებამ უნდა განიხილოს ამ კანონის მიერ გამოწვეული საკითხები.

◆ სტავროპოლის საბჭოში საინტერესო მოხსენება შეუტანია ხმოსანს აბრამოვს. ხმოსანმა წინადადება მისცა საბჭოს, აღძრას შუამდგომლობა საქალაქო საარჩევნო უფლების გაფართოვების შესახებ. აბრამოვის პროექტით, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება უნდა მიეცეთ ბინების დამქირავებელთაც.

◆ „დონს. რეჩი“ სწერს: ამას წინად ყუბანის ოლქის უფროსმა გენერალმა მალამამ, ნოვოჩერკასკის სამოსამართლო პალატის ერთმა წევრმა და ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს პროკურორმა დაათვალიერეს ეკატერინოდარის საოლქო სატუსაღო საჩქოს საქმის გამოსაძიებლად. საჩქო სატუსაღოს უფროსია და ტუსაღებმა უჩივლეს, ძალიან უდიერად და უკანონოდ გვეპყრობაო. გამოძიებით მართლაც გამოირკვა, რომ ეს ვაჟბატონი უმიზეზოდ აწვალებდა, დასცინოდა ტუსაღებს. გაზეთი დასასრულ უმატებს, რომ, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, საჩქო სხვაგან გადაჰყავთო. მხოლოდ ეს იქნება სასჯელი ამ კაცისა.

წერილები

ხ. ბუგეული (რაჭა). ბუგეულის საზოგადოება განთქმული იყო ქვემო რაჭის სხვა საზოგადოებებთან შედარებით მოსავლიანობით, მაგრამ ეს ოთხი წელიწადია ჩამოქვეითდა და დიდ გაჭირვებას განიცდის. მიზეზი ამისა მოუსავლობაა. ამ საზოგადოებაში არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სკოლა. თოთხმეტი წელიწადია სკოლა არსებობს, მაგრამ სასურველი სარგებლობა ვერ მოაქვს საზოგადოებისათვის გაუვალ ღელეების და გაფუჭებულ გზებისა გამო. აქაური ღელეები ადიდების დროს საშიში სანახავია და შიგ გასვლა შეუძლებელია არა თუ ბავშვის, დიდისათვისაც-კი. გზებისა რა მოგახსენოთ! ჩვენში გზები არა ჰგავს გზებს. სულ ტბა და ტალახია გამდგარი, ასე რომ გავლა მეტად საძნელოა. თვით სკოლის შენობაც არა სასურველ ყოფაშია. სახურავი იმდენად დალპა, წვიმის დროს ტბა დადგება ხოლმე სკოლაში. ფანჯრები სულ ჩამტვრეულია და ქარი თავისუფლად დანავარდობს შიგ, რის მიზეზით მოწაფეებსა და მასწავლებლებს უძნელდებათ მეცადინეობა. სწორედ ერთი წელიწადია, რომ ამ სკოლის შეკეთებისთვის მეცადინეობს ზედამხედველი ჭელიძე, მაგრამ არავინ ხმა არ გასცა; მხოლოდ მიწერ-მოწერა სწარმოებდა და საქმე კი არ გაკეთებულა. 14 ნოემბერს ამ საქმისთვის მოვიდა ამბროლაურის ნაწილის ბოქაული, მოახდინა ყრილობა და წინადადება მისცა ხალხს სკოლის შეკეთების შესახებ. საზოგადოებამ ამ სკოლის შეკეთება მიანდო ამავე სკოლის საპატიო მზრუნველს. კარგი იქნება არ გაგრძელდებოდეს საქმის სისრულეში მოყვანა.

პ. მთიდანახელი.

სოფ. ჭრებალო (ლეჩხუმი). როგორც სხვაგან, ისე აქაც ხალხი გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ომის ამბებს. ქაღალდის უბრალო ნაჭერი რომ დაგინახონ ხელში, გაზეთი ეგონებათ და უსათუოდ გკითხავენ: „რა ამბავია ომისაო“. სხვათა შორის, აქ ორ ვაჭარს მოსდის გაზეთი „ცნობის ფურცელი.“ იმათი მაღაზიების დერეფნები მუდამ სავსეა ხალხით, რომელსაც სწყურიან გაიგოს უკანასკნელ ფოსტით მოტანილი ამბები. ჭრებალოში ფოსტა-ტელეგრაფის საქმემ დღემდე ვერ შესძლო გადასვლა განზრახვის სამფლობელოდან განხორციელების სამფლობელოში, თუმცა საკმაო დრომ განვლო მას აქეთ, რაც ეს საკითხი აღიძრა.

შვიდის თვის წინად აქ დამტკიცდა იარმუკა. ვაჭრობა უნდა გამართულიყო, როგორც დაადგინეს, კვირაში ორ დღეს: პარასკეობითა და კვირაობით, მაგრამ ვერც ეს საქმე მოეწყო სასურველად, რადგან სოფლელებს სიღარიბისა გამო არაფერი არ ჩააქვთ იარმუკაში გასასყიდლად. აქეთ ვისაც ერთი-ორი გროში გააჩნდა, ყველამ ლინეიკები გაიმართა. მიჰყავ-მოჰყავთ ხალხი ონსა და ქუთაისს შუა სამხედრო ოსეთის გზაზე. ზოგიერთს ისეთი საცოდავი ცხენები უბიათ, რომ ასე გეგონებათ, ერთს წელიწადს არა უჭმევიათ-რაო. ბევრს ძველი, უვარგისი ლინეიკები აქვს. ხშირად მინახავს, რომ ამისთანა მოლინეიკეს გზაში ცხენები დავარდნოდეს, ან ლინეიკა დამტვრეოდეს და ამის გამო მგზავრები იძულებულნი ყოფილან ქვეითად წასულიყვნენ. საზოგადოდ, აქაურ მოლინეიკეების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. მათთვის არ არსებობს არავითარი ნიხრი და ისინი თავის სურვილისამებრ ჰყვლეფავენ მგზავრებს. ამ უკანასკნელ წლებში ქირნახულის მოსავალმა საგრძნობლად იკლო. წელს სიმინდი, რომელიც შეადგენს უმთავრეს სარჩოს ჩვენის ხალხისას, გვალვისაგან მოისპო. ათასში ერთს თუ მოუვიდა წლის სარჩო, ზოგს ორ-ორი თვის სარჩოც არ მოსვლია. ღვინის მოსავალიც ნაკლები იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენი ხალხი თავისას მაინც არ იშლის და ისევ მტკიცედ იცავს მამა-პაპათაგან ნაანდერძევ ჩვეულებებს.

ზედა ჟოშხელი.

ლარსი (საქართველოს სამხედრო გზა). ლარსიდან ბუთხუზამდის (რედანტამდის) მძარცველებისაგან კაცს მოსვენება არა აქვს. ქისტები თავისუფლად თარეშობენ და ქურდობენ. თუ მოასწრეს ვისმეს, მშვიდობით, აღარაფერს გაატანენ. მერე რა კარგი ხერხი შემოიღეს: ჯერ მოგპარავენ ანუ წაგართმევენ რასმე, მერე ერთი-ორი დღის შემდეგ ან თავად იგივე ქურდი მოდის, ანდა—თავის მზვავს მოგიგზავნის, და გეუბნება: „მე შემიძლიან შენი დანაკარგი საქონელი მოგინახო და ვიპოვნო, თუ ამდენს და ამდენს გასამრჯელოს მომცემო“. მომნახავი, რასაკვირველია, დანაკარგის პატრონს თან ფიცს ართმევს, რომ არ გამცეო და თანაც მუქარასა რთამს: „თუ გამეცი, იცოდე სამაგიეროს ერთი ორად გადაგიხდიო“. ამ ნაირად, დაფიქრებული დანაკარგის პატრონი ჩუმდება-დუმდება. თავის საკუთარ საქონელში თითქმის საღირალ ფასს იხდის, ოღონც კი იპოვნოს და აღარსად არას აცხადებს. ამნაირად ნათქვამია ანდაზა: „ერთი შერჩა მელასაო, შეეჩვია კბენასაო“, ქურდებიც წათამამებულნი უარესს შვრებიან და უფრო მოსვენებას არ აძლევენ ხალხს. გველეთში მცხოვრებს, მუსა ბეზუღტანოვს (ქისტია) საძოვარ მინდვრიდან მოჰპარეს თორმეტი ხარ-ძროხა. მოპარული საქონელი ლარსის მთაზედ გადაატარეს და გარეკეს სოფ. ჯაირახისკენ. ლარსის სახელმწიფო საძოვარ მთაში მოხევეებს უდგათ ცხვარი. ამ მეცხვარეებს ჯაირახიდან გამოსულმა (მოპა-

---

ლხი კი მძლავრ და რადიკალურ დასს მიჰყვება ხოლმე. ამიტომაც მან დაჰკარგა ის დიდი გავლენა, რომელიც ჰქონდა მეოთხმოცე წლებში. ამას გარდა, თვითონაც სხვა-და-სხვა ფრაქციებად დაიყო. ყველა ამან თავისუფლად მოაზრეთა დასი ძლიერ დაასუსტა. რეიხსტაგში იმისი წარმომადგენლები უმცირესობა`ს შეადგენენ. ამ უკანასკნელ დროს დიდი გამოცოცხლება ეტყობა. მისი წინამძღოლები დარწმუნდნენ, რომ დასს ახალი დემოკრატიული სული თუ არ ჩაჰბერეს, იგი კიდევ უფრო დაუძლურდება, და მოინდომეს დასის განახლება. ნამდვილ ლიბერალურ იდეებისათვის უფრო რადიკალურად მოქმედება, მშრომელ ხალხთან ერთად ბრძოლა, საზოგადოდ, მეტის მხნეობით და მეტის სიცოცხლით მოღვაწეობა,—აი, ახალგაზრდა მეთაურთა მთავარი აზრი. ამ აზრის განხორციელება სწადიათ თავისუფალ მოაზრეთა ისეთ ცნობილ და გავლენიან მოღვაწეებს, როგორიც არიან ფრიდრიხ ნაუმანი, თეოდორ ბარტი და სხვანი. ისინი თავიანთ თავს ეძახიან რევიზიონისტებს ანუ რეფორმატორებს, რადგან დასის რადიკალურად განახლება სწყურთ. უნდა ითქვას, რომ იმათი ხმა არ რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. ეჭვს გარეშეა, ისინი მალე მიაღწევენ თავიანთ მიზანს, რადგან უამისოდ ლიბერალიზმი ყოველივე მნიშვნელობას სამუდამოდ დაჰკარგავს. გარდა პროგრამის და ტაქტიკის გამოცვლისა, მას სწადიან ლიბერალების გაერთიანება. როგორც ზემოდაა ნათქვამი, ლიბერალები დაყოფილნი არიან სხვა-და-სხვა ფრაქციებად. რაც, რასაკვირველია, დიდად უშლის პარტიის გაზრდას. ამნაირად ლიბერალურ ფრაქციათა გაერთიანება და ნამდვილ ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეებისათვის ბრძოლა,—აი, ამათის აზრით, ერთად-ერთი საშუალება ძველ გავლენის დასაბრუნებლად. „უკან, ლიბერალიზმის ძველ იდეებისაკენ!“—აი, რეფორმატორთა მთავარი დევიზი...

განსაკუთრებით კი, თავისუფლად მოაზრეთა დასის ახალგაზრდა მეთაურებსა სწყურთ სოციალ-დემოკრატიასთან დაახლოვება და დაკავშირება, რადგან იმათ ბევრი საერთო ინტერესი აქვთ. მართალია, მათ ბევრი რამ ჰყოფთ, მაგრამ ამ ჟამად ისინი ერთნაირად წინააღმდეგნი არიან პრუსიის ბიუროკრატიზმისა, აგრარიებისა და ულტრამონტანებისა. ორივეს სწყურს დემოკრატიულ რეფორმების შემოღება. რადგან ეს საკითხები შეადგენენ მწვავე დღიურ საკითხებს, ამიტომაც მათი დაკავშირება არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა. თავისდა თავად იგულისხმება, რომ ეს დაკავშირება არ მოასწავებს თვითეულ დასის საკუთარ ფიზიონომიის გაქრობას. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ თავისუფლად მოაზრეებმა და სოციალ-დემოკრატებმა არჩევნების დროს ერთმანეთს უნდა დახმარება გაუწიონ და მით რეიხსტაგსა და ლანდტაგებში რეაქციონერთა რიცხვი შესამჩნევად შეამცირონ. კომპრომისსი არც ჩვენთვისაა სასიამოვნო, *) ამბობენ თავისუფლად მოაზრენი, მაგრამ იძულებულნი ვართ ასეთ საშუალებას მივმართოთ, რადგან პოლიტიკა საზოგადოდ უკომპრომისოდ შეუძლებელია. მით უმეტეს ეხლანდელი დრო თხოულობს დიდ მხნეობას და მუყაითობას; ამ ბრძოლაში ყველა პატიოსანმა მოქალაქემ უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა, რადგან ულტრამონტანიზმი უქადის მთელ თანამედროვე კულტურისნიადაგის დანგრევას.

მართლაც ყველგან ჰხედავთ ასეთ მოძრაობას. თვით პროფესორებიც, რომელთაც საზოგადოდ თავის კაბინეტის მეტი არა ახსოვს-რა, აარსებენ საზოგადოებებს, რომელთაც აზრადა აქვს საზოგადოების ყველა წრეების შეერთება ულტრამონტანების წინააღმდეგ. იწვევენ ცნობილ ორატორებს, სცემენ ფურცლებს და ბროშურებს და ამნაირად ფართო საზოგადოებას აცნობებენ კლერიკალიზმის ნამდვილ ფიზიონომიას. **) ფრიდრიხ ნაუმანმა, მაგ., მთელი ჩრდილოეთი გერმანია შემოიარა და ყოველ ქალაქში საყურადღებო რეფერატები წაიკითხა დემოკრატიის მოვალეობის შესახებ. ცნობილ ორატორს ყოველგან დიდი აღფრთოვანებით ეგებებოდნენ. ერთის სიტყვით, საზოგადოება მზადდება საბრძოლველად. მართალია, გერმანიაში ჯერ არ არის მოწიფებული პირობები ეკლესიის საერო მმართველობისაგან განსაშორებლად, როგორც საფრანგეთში, სადაც დღეს თუ ხვალ ორთოდოქსალურ სარწმუნოებას ოფიციალურადაც მოესპობა სიცოცხლე, მაგრამ ცენტრის დაუძლურება და მით იმის სურვილის არ ასრულება დიდი ნაბიჯი იქნება ამ მხრივ, ე. ი. ეკკლესიის საერო მმართველობისაგან მოშორების საქმისათვის.

როგორის თვალით უყურებს ამ საჭირბოროტო საკითხებს რეიხსტაგის უძლიერესი (ცენტრის შემდეგ) დასი—სოციალ-დემოკრატია? ცნობილია, რომ გერმანიის სოციალისტები კომპრომისის წინააღმდეგნი არ არიან. ისინი ხშირად უკავშირდებოდნენ არჩევნების დროს ეგრედ წოდებულ „ბურჟუაზიულ“ პარტიებს. მაგალითად, წინად განსაკუთრებულ კანონის არსებობის დროს ისინი ცენტრთან ერთად მოქმედებდნენ, წრეულს ბაიერნში მათ კავშირი შეჰკრეს ცენტრთან, რომ ლანდტაგის არჩევნების დროს ერთმანეთს დაეხმარონ. ბრემენის პარტეიტაგის შემდეგ გამოცხადებულ მოწოდებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტი პირდაპირ აცხადებს, რომ „ბურჟუაზიულ“ დასებთან დაკავშირების წინააღმდეგი სოციალ-დემოკრატები არ არიანო. მხოლოდ ასეთ დაკავშირებას საბოლოო მიზნის დავიწყება არ უნდა მოჰყვესო. ასე თუ ისე, თუ სოციალ-დემოკრატია ცენტრთან დაკავშირებას ახერხებს, რა თქმა უნდა, თავისუფლად მოაზრეებთან დაახლოვება უფრო ადვილი და საერთო საქმისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება, რადგან მათ მართლაც ბევრი საერთო ინტერესები აქვთ. სოციალ-დემოკრატია სიამოვნებას აცხადებს „ბურჟუაზიის“ გამოცოცხლების გამო. მან კარგად იცის, რომ მარტო მუშათა კლასი ვერ შესძლებს ბრძოლას ბნელ ძალებთან და ამიტომაც აფასებს ფართო საზოგადოების გამოღვიძებას. გერმანიაში ამდენ ხანს არა ყოფილა შეგნებულად მომქმედი „მესამე წოდება“, ამდენ ხანს იგი გაჩუმებული იყო და თუ ახლა ხმას ამოიღებს და თავის პროგრესსიულ როლს შეასრულებს, მაშინ ეს ჩვენთვისაც არა საწყენი საქმე იქნებაო.

ასე სწერდა ამას წინად მათი მთავარი ორგანო. ვინც გერმანიის სოციალ-დემოკრატიას კარგად იცნობს, და ვინც გერმანიის საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობას ცოტათი მაინც ადევნებს თვალ-ყურს, იმისათვის ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ ახლო მომავალში სოციალისტური დასი დაუკავშირდება თავისუფლად მოაზრეთა დასს. ამას თხოულობს თვით ცხოვრება, ასეთი დაკავშირება აუცილებელი შედეგია გერმანიის პოლიტიკურ სიტუაციისა და დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, თუ რომელიმე დასი ამაზე უარს იტყვის.

ამნაირად, პროგრესსიულ (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) პოლიტიკურ დასთა დროებით დაკავშირება, საერთო ძალით რეაქციონულ მთავრობისა და ულტრამონტანიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება და მით თავისუფალ განვითარების შემაფერხებელ ბნელ ძალთა დაუძლურება, —აი, საშინაო პოლიტიკის მწვავე საკითხი, რომლის გარშემო ტრიალებს გერმანიის მომქმედ ოპპოზიციის აზრი.

Rali.

---

*) თავისუფლად მოაზრეთა აზრით, მართლ მორწმუნე სოციალდემოკრატია მხოლოდ სიტყვითაა ოპპორტიუნიზმის და კომპრომისსის წინააღმდეგი. პრაქტიკულად კი ისიც ოპპორტიუნულ პოლიტიკის ნიადაგზე დგას, როგორც ამას აცხადებენ უფრო რადიკალი ანარქისტები, რომელნიც პარლამენტარულ მოქმედებას პრინციპიალურად უარჰყოფენ, რადგან ასეთი მოღვაწეობა, ანარქისტების აზრით, ასუსტებს მუშა ხალხის კლასობრივ თვითცნობიერებას. სოციალ-დემოკრატია რომ პრაქტიკულად კომპრომისსებს არ მისდევდეს, მაშინ მას რეიხსტაგშიც არ ექმნება ადგილი.

**) საინტერესოა შემდეგი მაგალითი: ადგილობრივ პროფესსორთა მეცადინეობით ბადენის ერთ ცნობილ ქალაქში (ფრაიბურგი) დაარსდა ასეთი საზოგადოება. დამაარსებლებმა საჭიროდ დაინახეს მოეწვიათ ბერლინიდან ერთი ცნობილი პირი რეფერატის წასაკითხავად კათოლიკეთა დასის წინააღმდეგ. სახელდობრ ყოფილი იეზუიტი გრაფი ჰენსბრეხი (ცნობილი მწერალია. განსაკუთრებით სწერს ცენტრის და პაპის წინააღმდეგ. ცნობილია აგრეთვე როგორც ორატორი). გაიგეს თუ არა, რომ ყოფილი იეზუიტი ცენტრის წინააღმდეგ ილაპარაკებსო, კრებას მრავალი ხალხი მოაწყდა ახლო-მახლო ქალაქებიდან. კრებას დაესწრო რვა ათასამდე კაცი (ნუ დაივიწყებთ, რომ ფრაიბურგი დიდი ქალაქი არ არის)! ამ მოხუცმა დიდი გავლენა იქონია დამსწრე საზოგადოებაზე, თვით მოხუცი სახელგანთქმული მეცნიერებიც კი სულ ტაშს უკრავდნენ მჭევრმეტყველ რეფერანტს! ძნელი გადმოსაცემია, თუ რა რიგად ააღელვა ხალხი ამ მებრძოლმა მოხუცმა. პაპის პოლიტიკა საუცხოვოდ დაახასიათა (არ დაივიწყოთ, ეს მწერალი ყოფილი იეზუიტია და კათოლიკურ ლიტერატურასაც საუცხოვოდ იცნობს). რა თქმა უნდა, დამსწრე კათოლიკებმა ვერ გაჰბედეს დისკუსსიაში მონაწილეობის მიღება, თუმცა ორატორი დაჟინებით თხოულობდა ამას. ცოტა ხნის შემდეგ ხმა გაავრცელეს, ვითომ კათოლიკურ ეკლესიის ადგილობრივ მთავრობამ უბრძანა ყველა კათოლიკებს, რომელნიც კი ამ კრებას დაესწრნენ, რომ ისინი დაუყოვნებლივ ეკლესიაში გამოცხადებულიყვნენ და იქ ზიარებულიყვნენ... ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ხმა, მაგრამ იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ ეს საუკეთესოდ ახასიათებს ულტრამონტანიზმს და კათოლიკურ ორთოდოქსიას.

რულ საქონლის კალი ყოველთვის იქით მიდის) ქისტებმა დაჰპარეს ასორმოცამდე ცხვარი. ქისტებმა მეცხვარეებს წინადადება მისცეს: „თითო ცხვარში ორი მანეთი მოგვეცით და გამოვარეკეთ დანაკარგსაო“. მეცხვარეებმა მანეთ-ნახევარი შეაძლიეს ცხვარში. ვერ მორიგდნენ და ამნაირად დაიკარგა ცხვარი. ლარსში მოვაჭრე იოსებ ღუდუშაური კავკავიდან მიდიოდა დასაპალნებულის ურმით. გზაზედ შემოაღამდა. ლარსიდან ხუთი ვერსით მოშორებით დაუხვდნენ ქისტები და დაუწყეს თოფის სროლა. ღუდუშაურმად რევოლვერის სროლით გასცა პასუხი, მაგრამ პატრონჭი გაუთავდა და სროლა შესწყვიტა. ქისტებმა მაშინ იდროვეს, გადაუდგნენ წინ, შეაჩერეს ურემი და თოფი გულზე მიაბჯინეს ღუდუშაურს. ღუდუშაური არ შეკრთა, იძრო ხანჯალი და შესძახათ: „ცოცხალი თავით ცხენს ვერ დაგანებებთო“. ქისტებმა ღუდუშაური ხმაზე იცნეს, და რადგან „ყონაღები“ გამოდგნენ, ბოდიში მოითხოვეს და განშორდნენ. ოცდა ორს, შესინდებისას კავკავიდან ურმებით მიმავალს ს. ციმში მცხოვრებ თემირბოლათა დუდაროვის მოჯამაგირებს ბალთას აქეთ დაუხვდნენ და ორი ხარი და ერთი ცხენი წაართვეს. წაართვეს აგრეთვე რაც რამ ნავაჭრი მიჰქონდათ მეურმეებს. ოცდა სამს სანებელოსს ტფილისიდან მოჰყავდა სამი ცხენი. ოსი შეუდგა ეგრედ წოდებულ „ვარავსკოიბალკის“ გზას სანებისკენ. აქ ოსს დახვდნენ ქისტები, წაართვეს ცხენები, თავად დასტრეს და ცხენები გზას გაუყენეს. ლარსის სადგურში ღამე მიპარულიყვნენ ქისტები საქურდლად. აქ მათ წააწყდნენ დარაჯი ყაზახები და დაუშინეს თოფები, ქისტებმა თავს უშველეს და გაიქცნენ. ერთის სიტყვით, მოსვენება აღარ არის თავზედ ხელ აღებულ ქისტებისაგან.

ცამეტს და ცხრამეტს ამ თვეს ჩამოგვითოვლა კავკასიონის მთები და კარგადაც აცივდა. მაგრამ ბუნებამ ისევ გაგვიღიმა და თბილი დღეები დაიჭირა, რაიცა მთის ხალხს ხელს უწყობს პირნახულის ზიდვა-ლეწვაში და თივის ზიდვაში.

ქართველ ოსებში.

კისლოვოდსკი. ვისაც ზაფხულში კისლოვოდსკის კარგი ამინდები უნახავს, ის არ დაიჯერებს, რომ კისლოვოდსკში ზამთარშიაც ისეთივე სასიამოვნო დარები იცის, როგორც ზაფხულში. კისლოვოდსკი თუმცა მაღალს ადგილზეა, მაგრამ სამის მხრიდან გორები აფარია, ამიტომ ქარი არ უდგება არსიდან, მზე კი ამოსვლისათანავე მიადგება და საღამომდის ათბობს. ხშირად ესენტუკში (რომელიც 20 ვერსის მანძილზედ სძევს კისლოვოდსკიდან) დიდი ყინვა, თოვლი და ქარია. კისლოვოდსკში-კი ამავე დროს თბილი მზიანი ამინდებია.

კისლოვოდსკში ამ ბოლოს დროს ადგილი ძალიან გაძვირდა. ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, რომელიც 7—8 წლის წინად იყიდებოდა მანეთად, ეხლა 5 მ. ვეღარ იყიდით. აქ რამდენსამე ქართველსაც აქვს ადგილები. საუკეთესო აგარაკიააშენა ბუფეტის პატრონმა შავგულიძემ. კისლოვოდსკი 1903 წელს დაამტკიცეს ქალაქად, მაგრამ არჩევნები მხოლოდ ეხლა მოხდა. მოურავად აარჩიეს ა. კ. შუხი, მდივნად ა. ლ. კუშრი.

ნ. ჩიტალაძე

ხოფ. ხანება (ოსეთი). ამას წინად ამ სოფლის მცხოვრებს ზარაბი სიდაყოვს ქურდებმა მოჰპარეს ორი ხარი. ზარაბიმ გაიგო და გამოედევნა ქურდებს. ქურდებმა რამდენჯერმე მოაძახეს „გაბრუნდი, ნუ მოგვდევ, თორემ მოგკლავთო!“ ზარაბის გული ეწოდა, რადგან იმისი მარჩენალი ორი ხარი მიჰყავდათ და მისდევდა ქურდებს ყვირილით. ამ დროს იგრიალა ქურდის თოფმა და ზარაბი ხმა ამოუღებლივ დაეცა მიწაზედ. ქურდებმა ხარები გარეკეს. სანებაშივე მცხოვრების ივანა ხადიყოვის გასათხოვარმა ქალმა ჩამოიღო თავის ძმის დამბაჩა და სწმენდავდა. უცაბედად დამბაჩა გავარდა და ქალს ტყვია მუცელში მოხვდა. საბრალო დაჭრილი ქალი კავკავის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ოთხი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

აქაური

◆

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

23 ნოემბერი

ლონდონი, 23 ნოემბერი („რეიტერი“). „მორნინგ პოსტს“ შემდეგი ამბავი გაუგია ნამდვილ წყაროდან: თუმცა რუსისა და ოსმალოს მთავრობებს შორის არავითარი ოფიციალური მოლაპარაკება არა ყოფილა შავი ზღვის ესკადრის დარდანელზე გავლის შესახებ, მაგრამ აზრის გაცვლა-გამოცვლა მაინც იყო. ოსმალოს მთავრობას ამ ჟამადაც საჭიროდ მიაჩნია მტკიცედ დაიცვას პარიზისა და ბერლინის ტრაქტატები.

ლონდონი, 23 ნოემბერი („რეიტერი“). ამბობენ, სასამართლოში ქაღალდი შეიტანეს და მოითხოვეს დაპატიმრებულ იქმნას კაპიტანი ჯემს როში, რომელმაც ნაღმიანი გემი „კაროლინა“ ლიბავაში მიიყვანა. თხოულობენ აგრეთვე ერთ სხვა კაცის, ვგონებ სინეტის, დაპატიმრებას.

ჩიფუ, 22 ნოემბერი („რეიტერი“). იაპონელები დღესაც განაგრძობენ ზარბაზნების სროლას და უშენენ ყუმბარებს პორტ-არტურს. იაპონელები ყოველ ღონესა ხმარობენ, რომ აიღონ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფორტი.

შანჰაი, 22 ნოემბერი („რეიტერი“). ჩაო ბთასი რუსი გირინს მოვიდა. ელიან ბრძანებას, რომ სამხრეთისაკენ წავიდნენ და სცადონ შახეს სამხრეთით გვერდიდან იაპონელთა მოვლა.

ხარბინი (საკ. კორესპ.). 21 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, ხარბინიდან მე-226 ვერსზე, მუკდენისაკენ, ხუნხუზებმა ააფეთქეს რკინის გზის ლიანდაგი. ეს შენიშნა დარაჯთა სალდათმა და მიმავალი მატარებელი დროზე შეაჩერეს. სალდათს ხუნხუზებმა ტყვია დაუშინეს. გზა ხელად შეაკეთეს.

მუკდენი, 22 ნოემბერი („რეიტერი“). საარტილერიო ბრძოლას, რომელიც მარჯვენა ფრთას შუაგულში ოთხი იყო ოთხის დღის განმავლობაში, საქმის ვითარება არ შეუცვლია. რუსებს შორის ბევრია ავადმყოფი. მიზეზი ის არის, რომ ტრანშეებსა და კაზემატებში ვიწროდ არიან. ამას გარდა ბევრს ნერვებიც აეშალა.

ჯიბუტი, 22 ნოემბერი („ჰავასი“). რუსის ესკადრამ ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო, თავის საკუთარ ტრანსპორტებისგანვე მიიღო. ესკადრა, როგორც ეტყობა, კარგ მდგომარეობაშია. გაიმართა ჩვეულებრივი დარბაზობა. არავითარი მანიფესტაცია არ მომხდარა.

პეტერბურგი, გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა, მთავარ-შტაბს 22 ნოემბერს: „არ მიუღია მოხსენებანი შეტაკებების შესახებ 22 ნოემბერს. თუმცა ყინვებია, განსაკუთრებით ღამე, ჩვენი ჯარი მაინც სიცივეებისაგან შეწუხებული არ არის, რადგან თბილი ტანისამოსი აცვია, ბევრი საჭმელი ეძლევა და გამთბარ მიწურებშია. ჯარი კარგ გუნებაზეა“.

ფრიდრიხსჰაფენი, 22 ნოემბერი („ვოლფი“). რუსის კრეისერმა „ტერეკ“მა სკაგენის პირდაპირ გაიარა ნაშუადღევის სამ საათზე. კრეისერი დასავლეთისაკენ მიდიოდა.

ბრესტი, 22 ნოემბერი („ჰავასი“). მცურავებისა და საბუქსირო გემის დახმარებით გაანთავისუფლეს „პრონზიტელნის“ ლუზა. გემი წყნარ ამინდს ელის, რომ ზღვაში გავიდეს.

ლონდონი, 22 ნოემბერი („რეიტერი“). კორესპონდენტი, რომელიც რუსის ჯარის მთავარ შტაბთანაა, 19 ნოემბერს დეპეშით იუწყება, რომ რუსებმა საალყო ზარბაზნები დაუშინეს იაპონელთა პოზიციებს სუძიატუნის სამხრეთით, მაგრამ იაპონელებმა პასუხი არ გასცეს. შენიშნეს იაპონელები, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ნაღმებს აწყობდნენ რკინის გზის ხიდის ქვეშ შახეზე, რომ, ვინიცობაა, რუსები წამოვიდნენ, ააფეთქონ. ასტყდა ცხარე სროლა. ამავე დროს იაპონელთა რაზმს, რომელიც პუტილოვის სოპკას უშენდა ყუმბარებს, მოულოდნელად თავს დაეცა ყაზახთა რაზმი. ყაზახთა რაზმს განზრახვა ჰქონდა ხელთ ჩაეგდო იაპონელთა ბატარეა, მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და ყაზახებმა მალე უკან დაიხიეს. გენერალი რენენკამფი ორი დღეს სდევნიდა აღმოსავლეთის მხარეს იაპონელთა რაზმს. პირველად ამ რაზმმა მიიტანა იერიში, მაგრამ გენერალმა მოიგერია.—თუმცა მიწა გაიყინა, ტრანშეებს მაინც ამზადებენ.

ტოკიო, 22 ნოემბერი („რეიტერი“). იაპონიის ჯარის მთავარი სადგომი იუწყება, რომ 20 ნოემბერს, ნაშუაღამევის 2 საათზე, იაპონელთა რაზმმა უკუ-აგდო რაზმები ჩრდილოეთისაკენ და დაიჭირა სოფელი, სადაც წინად რუსის ქვეითა ჯარი იყო. იაპონელთა შორის არავინ მოუკლავთ; დაჭრილია 12 კაცი. რუსებმა დაჰკარგეს 30 კაცი. 20 ნოემბერს საღამოთი რუსის არტილერია ყუმბარებს ესროდა ვეიტოშანს. რუსის ორი-სამი როტა წინ წამოვიდა, რომ დაეჭირა სიმაღლე, მაგრამ იაპონელებმა უკუ-აგდეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

23 ნოემბერი

ბერლინი, 22 ნოემბერ. „ლოკალ ანცაიგერ“-ს მუკდენიდან ატყობინებენ, რომ რუსებმაც და იაპონელებმაც მხნე მოქმედება დაიწყეს. პუტილოვის გორასთან ორი დღის განმავლობაში ზარბაზნების ძლიერი სროლაა. მებრძოლთ მცირე ზარალი აქვთ. დონის ყაზახთა რაზმი დამით თავს დაესხა იაპონელთა ბატარეას იაპონელებს ეძინათ. ყაზახებმა ყველა ზარბაზანი გააფუჭეს. საეჭვოა, რომ მოწინავე რაზმის ეს შეტაკებანი ბრძოლის დაწყებას მოასწავებდნენ. უფრო სარწმუნოა, რომ იაპონელები რუსების თავდასხმას დაუცდიან.

ჩანხიამუტუნი, 22 ნოემბერი. იაპონელები ისევ ზვერავენ ჩვენს მარჯვენა ფრთას. 20 ნოემბერს ღამე იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციაზე ლინშინპუსთან, მაგრამ უკუვაქციეთ. საინტერესო ეპიზოდი მოხდა. მზვერავი სალდათი გაეპარა იაპონელთა მოწინავე რაზმებს და მიუახლოვდა სოფელს, სადაც იაპონელების ჯარი იდგა. გაოლიანში დაიმალა და დაუწყო თვალ-ყურის გდება. რამდენისამე ხნის შემდეგ მოვიდა სამი იაპონელი ჯარის კაცი საქონლის საკვებისთვის და პირდაპირ გაოლიანში ჩასაფრებულ სალდათს წააწყდნენ. სალდათი გამოვარდა, ერთ იაპონელს შტიკი ჰკრა, მეორეს თოფი ესროლა და სოფლიდან გაიქცა. ახლობელ თხრილებიდან თოფის სროლა ასტყდა. მაშინ სალდათმა უფრო მოკლე გზა აირჩია, პირდაპირ იაპონელების თხრილებისკენ გაექანა, გადაახტა თხრილს და, მიუხედავად იმისა, რომ ყოველის მხრიდან თოფები დაუშინეს, უვნებლად დაბრუნდა.

ტანჟერი, 22 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ კრეისერები „ოლეგი“ და „იზუმრუდ“-ი, სატრანსპორტო გემი „ოკეანე“ და მაშველი კრეისერი „დნეპრი“ სურსათით იტვირთებიან. ნაღმიანი გემები „გროზნი“ და „გრომკი“ ნახშირს იღებენ ფრანგების ნავებიდან.

ბერლინი, 22 ნოემბერი. დღეს რეიხსტაგში ბებელმა ბრალი დასდო გერმანიის მთავრობას, რუსეთის გულის მოგებას სცდილობთ, გემებს ჰყიდით და ნეიტრალიტეტს არღვევთო. კანცლერმა მიუგო, გერმანია (ასტიკ ნეიტრალიტეტს იცავს, ხოლო მეგობრული ურთიერთობა რუსეთთან გულის მოგებას არა ნიშნავსო. ისეთი ინციდენტი, როგორიც შეემთხვა გერმანიის გემს, აუცილებელია ომიანობის დროს. რუსეთმა გერმანიის მიმართ გემების შეჩერების დროს კეთილი განწყობილება გამოიჩინა. შემდეგ კანცლერი გადავიდა მებელის სიტყვის იმ ნაწილზე, რომელიც შეეხებოდა რუსეთის შინაურ ცხოვრებას. კანცლერმა სთქვა, ვერ შევეხები ამ საკითხს, რადგან უცხო მთავრობას უფლება არა აქვს სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩაერიოსო. სოციალ-დემოკრატიული დასი სცდება, თუ ფიქრობს, რომ გზას შეუცვლის გერმანიის ეხლანდელ წყნარ და თავდაჭერილ პოლიტიკასაო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

22 ნოემბერი

პეტერბურგი. ჩამოვიდა სპარსეთის შაჰის საგანგებო დესპანი პრინცი მირზა-რიზა-ხანი, რომელიც სპარსეთის ელჩად არის კონსტანტინეპოლში. დღეს საუზმის შემდეგ სპარსეთის ელჩი სადარბაზოდ იყო გარეშე საქმეთა მინისტრთან.

პეტერბურგი. ოთხი საათი გაგრძელდა სტახოვიჩისა და თავად მეშჩერსკის საქმის განხილვა. სტახოვიჩი ცილისწამებას უწოდა „გრაჟდანინი“-ს რედაქტორს, რომელსაც მიუსაჯეს ორის კვირით დაპატიმრება ჰაუპტვახტაზე, რადგან გამოირკვა, რომ წერილი სტახოვიჩის ნება დაურთველად გადაუცია თავად მეშჩერსკის „ოსვობოჟდენიე“-ს რედაქციისათვის. დამსწრე საზოგადოებამ დიდი ოვაცია გაუმართა სასამართლოს კარიდორებში ადვოკატებს პლევაკოსა და მაქსიმოვს.

აბო, 22 ნოემბერი (საკუთ. კორესპ.). დღეს შვეციიდან გემით შვიდი კაცი მოვიდა სეიმში მონაწილეობის მისაღებად. ესენი მთავრობის განკარგულებით რუსეთიდან გადასახლებულნი იყვნენ. ხუთს მათგანს, 17 ნოემბერს გამოცემულის უმაღლესის ბძანებით, ნება მიეცათ ჰელსინგფორსში წასულიყვნენ. ამათ შორისაა სენატორის ნამუოფი მეხელინი. ორს-კი, იმავ ბძანების თანახმად, არ მისცეს ნება და წინადადება მისცეს, იმავ გემით შვეციას დაბრუნებულიყვნენ. გემის მოსვლისა და მატარებლის ჰელსინგფორსში წასვლის დროს საგულისხმო დემონსტრაცია არ მომხდარა. შეიყარა ხალხი, რიცხვით არა უმეტეს 150 კაცისა, „ვორტ-ლანდ“-სა და სახალხო სიმღერებსა მღეროდა და „ურას“ იძახოდა.—ხვალ შაუმანის საქმეზე სასამართლოს სხდომა მოხდება.

ბერლინი, 22 ნოემბერი („ვოლფი“). 21 ნოემბერს აქ მოვიდა პეტერბურგიდან 6 კომისარი ორს რკინის გზის თაობაზე მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკება შეეხება რუსეთისა და გერმანიის რკინის გზების შეერთებას სკალმერჟიცსა და კალიშს შუა და გერდისა და ჩენსტოხოვს რკინის გზის შუა. ელიან, რომ მოლაპარაკებას კარგი შედეგი მოჰყვება.

ლონდონი, 22 ნოემბერი („რეიტერი“). ასტონის ჰერცოგინა მძიმედ ავად გახდა. პორტუგალიის დედოფალმა მიიღო თუ არა ეს ცნობა, ლონდონს წავიდა.

მესინა, 21 ნოემბერი. დიდმა მთავარმა კირილე ვლადიმირის ძემ ტაორმინას წასვლა გადასდო და პალერმოს წავიდა.

პეტერბურგი იუსტიციის სამინისტროს წინაშე მრავალი შუამდგომლობა აღძრეს იმ ადგილების სამოსამართლო უწყების მოხელეებმა, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ არსებობს. თხოულობენ ამ სასამართლოს შემოღებას.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 19 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,45
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	91⁵/₈
4% სახელმწიფო რენტა	—
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4¹/₂% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	427¹/₂
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	320
5% გირ. მომგ. ფურც. საზ. ს.-მამ. ბანკ.	271
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4¹/₂% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4¹/₂% გირ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87¹/₄
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	245

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიკავკასიის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, უსუპოვის ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს მგგ. ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი.

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტერ-ოვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქ-მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი მდივ-როვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ვეჯუბოვის სახლებში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეჯვრის ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლუსტისა.

განცხადებანი

ქირავდება შუა ფასებში ლვინის სარდაფი ვერის დასახვევში—ყორღანოვის ქ. № 2. ორმხრივ შესავალით, მსურველთ შეუძლიათ მიმართონ იმავე სახლებში სახლის პატრონს ვლადიმერ ხუდაძეს. (4—382—4)

ხე-ხილი

ვაშლი, მსხალი და სხვა საუკეთესო სამრეწველო ჯიშის ხეები. ლეღვი, ბროწეული და ფუნდუკი მსხვილ ნაყოფიანი იყიდება იაფად მებაღე პრილიპკოსთან მუშტაიდში. (3—388—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო-დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, შემბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

СЪДЕЛЬН, СПЕЦІЯЛЬК

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. съдла.

მიხაილოვის პრ., სახლი ბაღდოვისა, № 92, სახაზინო ხიდთან ახლოს. (წ.—176—81)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ვგზავნება

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—მოკმე ბაზნისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	10
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	6
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
ითვლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პლატონისა	—	2
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაქცევა, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	2
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	10
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	8
ხენთი რაფგისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჯვანგულიძისა	1	—

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქროს მღდლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, პიქსი არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. ქისიაულებით და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ერთჯერადათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—72)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა დიხს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(9—3.25)

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.